მეთოდური სახელმძღვანელო

ევროპული ღირებულებების სწავლება საქართველოს სკოლებში

With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

Advancing European values and standards in Georgian schools (EU-GS) 2020-2022

მეთოდური სახელმძღვანელო

ევროპული ღირებულებების სწავლება
საქართველოს სკოლებში

With the support of the Erasmus+ Programme of the European Union

ევროპის უნივერსიტეტი
EUROPEAN UNIVERSITY

Advancing European values and standards in Georgian schools (EU-GS) 2020-2022

წინამდებარე მეთოდური სახელმძღვანელო შემუშავებულია ერასმუს+ ჟან მონეს პროექტის -„ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების განვითარება ქართულ სკოლებში“ (620893-EPP-1-2020-1-GEEPPJMO-PROJECT), იგივე EU GS, ფარგლებში.

იგი ეყრდნობა ამავე პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგებს და საწყის წერტილად იღებს პროექტის მკვლევართა გუნდის მიერ შემუშავებულ შვიდ რეკომენდაციას, რომელთაც ზედმიწევნით მიჰყვება სახელმძღვანელოს თითოეული მოდული.

EU GS პროექტს აქვს ამბიციური მიზანი, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზაზე დაეხმაროს საქართველოს საშუალო განათლების სისტემის ევროპეიზაციის მიმართულებით.

ამავე მიზნით, აღნიშნული სახელმძღვანელო საქართველოს საჯარო სკოლების დირექტორ-მასწავლებლებს სთავაზობს თეორიული და პრაქტიკული მასალისგან შემდგარ მეთოდიკას სასწავლო პროცესსა და ზოგადად, სკოლის ცხოვრებაში იმ ევროპული ღირებულებებისა თუ სტანდარტების გასავრცელებლად, რომლებიც საველე კვლევის პროცესში განსაკუთრებულად პრობლემატურად გამოიკვეთა.

პროექტს ახორციელებს შპს ევროპის უნივერსიტეტი - კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებულ და ევროპული სტანდარტის შესაბამის სწავლა-სწავლების პროცესს.

ევროპის უნივერსიტეტისთვის ევროპეიზაცია წარმოადგენს მისი ინტერნაციონალიზაციისა და განვითარების სტრატეგიის ქვაკუთხედს, რაზეც თავად ინსტიტუციის სახელწოდებაც მეტყველებს.

„პუბლიკაცია მომზადებულია ევროკომისიის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს. ევროკომისია არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე“.

© ევროპის უნივერსიტეტი, 2021
76 დავით გურამიშვილის გამზირი, 0141 თბილისი, საქართველო
უნივერსიტეტის ვებგვერდი: *www.eu.edu.ge*
ელ.ფოსტა: *info@eu.edu.ge*
პროექტის ვებგვერდი: *www.eu-gs.ge*
ელ.ფოსტა: *info@eu-gs.ge*
ტელ: (+995 32) 2 000 171

ავტორები: ეკატერინე ნაცვლიშვილი
ლელა აბდუშელიშვილი
გიორგი ლეკვეიშვილი
მარიამ კილანავა
ნინო გვარამაძე
მარეხ ნიკაჭაძე

ISBN 978-9941-8-4099-9

მოდული 1.

სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდიკის ოპტიმიზაცია

შესავალი

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული ახალი სკოლის მოდელის თანახმად, სკოლა ის დაწესებულებაა, სადაც მოსწავლემ უნდა მიიღოს საფუძვლიანი განათლება და ცოდნა. ეს იდეა გატარებულია სამინისტროს დოკუმენტში „ახალი სკოლის მოდელისა და დისტანციური სწავლება-სწავლის შესახებ“ (MoES of Georgia, 2020b, Report), რომელშიც აღნიშნულია, რომ „სკოლა ის ადგილია, სადაც ახალგაზრდები იღებენ ფუნდამენტურ ცოდნას. მათ მასალა იმდენად სიღრმისეულად უნდა ისწავლონ და გაიაზრონ, რომ შეძლონ ამ მასალის კრიტიკულად გაანალიზება, მიღებული ცოდნის სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციასთან დაკავშირება და მისი პრაქტიკაში გამოყენება“. ეს ამონარიდი ნათლად მოწმობს ანალიზის, კრიტიკული აზროვნების, თეორიული ცოდნის ტრანსფერის კომპეტენციების განვითარების საჭიროებას, რათა მოსწავლემ შეძლოს ნასწავლის სათანადოდ გააზრება და შემდეგ მისი პრაქტიკაში გამოყენება. ეროვნულ სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ის მოსაზრება, რომ კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ეხმარება განავითაროს ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარები. განმავითარებელი შეფასება კი მას პოზიტიურ განწყობას უქმნის და საშუალებას აძლევს შინაგანი მოტივაციისა და პასუხისმგებლობის გრძნობა კიდევ უფრო განამტკიცოს და გახდეს პასუხისმგებლობიანი, უნარიანი და მცოდნე მოქალაქე. ამდენად, ახალი სკოლის მოდელი ემყარება ისეთ დასავლურ ღირებულებებს, როგორებიცაა: დემოკრატია, თანასწორობა, თანაბარუფლებიანობა, პასუხისმგებლობა, განათლება და განვითარება. მისი აქტიური დანერგვა და განხორციელება უაღრესად არსებითია საქართველოს ევროინტეგრაციის გზაზე.

ბოლონიის პროცესმა საქართველოს ევროპეიზაციის პროცესზე უაღრესად დადებითი ზეგავლენა იქონია. კონკრეტულად, დაინერგა მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესები, მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან მუდმივი დაახლოება, მუდმივი ცოდნის დინამიკური გამოყენება, პრობლემის დასმა მოსწავლის მხრიდან, საკუთარი აზრის თავისუფლად გამოთქმა-გაზიარება მასწავლებელსა თუ თანატოლებთან და აღმოჩენებით აქამდე უცნობი ცოდნისკენ სვლა. ეს პროცესი მას საშუალებას აძლევს იაზროვნოს კრიტიკულად და შემოქმედებითად და, შესაბამისად, ისწავლოს საფუძვლიანად, შეძლოს ეფექტური კომუნიკაცია და გახდეს თავისუფალი მოქალაქე. ყოველივე აღნიშნული მას დაეხმარება ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში თანაცხოვრებაში.

2018-2024 წლების ეროვნული სასწავლო გეგმა (NCP, 2016) ის მნიშვნელოვანი პოლიტიკის დოკუმენტია, რომელიც ასახელებს წარმატებული სწავლისთვის საჭირო გამჭოლ უნარებსა და ღირებულებებს: პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, მეწარმეობა, ინიციატივიანობა და საქმედ ქცევა, დროსა და სივრცეში ინტეგრირება, კვლევა, სწავლის სწავლა, დამოუკიდებლად საქმიანობა, პასუხისმგებლობა. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე კი, ეროვნული სასწავლო გეგმა გამოყოფს ისეთ პრიორიტეტულ თემებს, როგორებიცაა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, გარემოს დაცვა, ჯანსაღი ცხოვრება, სამოქალაქო უსაფრთხოება, კონფლიქტების მართვა, ფინანსური წიგნიერება, კულტურული მრავალფეროვნება. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ დამოუკიდებელ საგნობრივ ჯგუფში შედის სოციალური მეცნიერებები, რომლებიც ისწავლება საინტერესო საგნების მეშვეობით და არჩევით კომპონენტში არის ამერიკისმცოდნეობა, მეწარმეობის საფუძვლები, მსოფლიო კულტურა, სახელმწიფო და სამართალი, სამხედრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა, გარემო და მდგრადი განვითარება. ამდენად, ახალგაზრდებს პოლიტიკის დონეზე სახელმწიფოსაგან უზრუნველყოფილი აქვთ საერთო ევროპული ღირებულებების გააზრების და შესწავლის შესაძლებლობა. ჩვენი ამოცანა კი

ამ ყველაფრის მეთოდიკაში ასახვა და სწავლის პროცესში აქტიური ინტეგრირებაა.

წარმოგიდგენთ ჩვენი სახელმძღვანელოს მეთოდურ ჩარჩოს, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება ყოველივე ზემოთქმული პრაქტიკულად განახორციელოს, ხოლო მოსწავლეს მისცემს უპრეცედენტო შესაძლებლობას მოემზადოს სამომავლო საგანმანათლებლო გამოწვევისათვის და შეძლოს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში წარმატებული ინტეგრირება.

სამიზნე ჯგუფი: მასწავლებლები.

მოდულის მიზანი

წინამდებარე მოდული, ისევე, როგორც თავად სახელმძღვანელო, წარმოადგენს პრაქტიკული ხასიათის შეთავაზებას პროექტის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების რეალურად განხორციელებისათვის. საველე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოკვეთილი რეკომენდაცია სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდიკის ოპტიმიზაციის შესახებ წარმოადგენს საკვანძო საკითხს, რადგან ის აქტიურად უკავშირდება სხვა რეკომენდაციებს თავისი უნივერსალური შინაარსით. აღნიშნული მოდული ორიენტირებულია სხვადასხვა მეთოდისა და აქტივობის წარმოჩენაზე, რაც შესაძლებელს გახდის რეკომენდაციებში გამოკვეთილი პრობლემების სასკოლო სივრცეში გადალახვას. რეკომენდაციათა საერთო შტრიხების გათვალისწინებით, დომინანტური სახის პრობლემას ღირებულებათა სწავლება და მათი გამომუშავება წარმოადგენს, რაც სწავლების შესაბამისი მეთოდების შერჩევით გახდება შესაძლებელი. მოდულის ფარგლებში შეთავაზებული მეთოდები შესაძლებელია ადაპტირდეს სხვადასხვა საგანთან, რაც, საბოლოო სახით, სასწავლო სახელმძღვანელოებში მოცემული პრაქტიკული დავალებების შესაბამისად ფორმირებას გულისხმობს.

სწავლების მეთოდები, რომლებიც თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში აქტიურად გამოიყენება, უმეტესწილად ორიენტირებულია მოსწავლისთვის ცოდნის გადაცემაზე, რაც უცილობლად უნდა გამოვიყენოთ უნარების გამომუშავებაზე ორიენტირებულ აქტივობებთან კომბინაციაში. 21-ე საუკუნის უნართა გამომუშავებისათვის აუცილებელია სწავლების შესაბამისი მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი გახდება როგორც ერთი კონკრეტული ამოცანის შესრულება, ისე მათი სხვა მიდგომებთან პროდუქტიული კორელაცია. დანართის სახით დეტალურადაა წარმოდგენილი ერთი სამოდელო მეთოდის პრაქტიკული სქემა, რომლითაც იხელმძღვანელებენ პედაგოგები *(იხ. დანართი 1.1)*.

სასწავლო პროცესის უკუდიზაინის პრინციპით შემუშავებისას მეტი აქცენტი კეთდება იმაზე, თუ როგორ ვასწავლით, ვიდრე იმაზე, თუ რას ვასწავლით. (*Wiggins, G. P., & McTighe, J. 2005).* უკუდიზაინი გულისხმობს მოსწავლეზე ორიენტირებულ სწავლებას, რომლის ამოსავალი წერტილი სწავლების საბოლოო შედეგია. ყოველი სასწავლო კურსის დაგეგმვისას აუცილებელია ნათლად იყოს გამოკვეთილი ის, თუ რა შედეგი უნდა იქნას მიღებული სემესტრის/წლის ბოლოს, რათა შემუშავდეს სწავლებისა და შეფასების შესაბამისი მეთოდები. თუ კურსის საბოლოო შედეგი მოსწავლეთა მხრიდან ღირებულებათა გათავისება და მათი პრაქტიკაში თავისუფალი განხორციელებაა, აუცილებელია სწავლების იმ მეთოდთა შერჩევა, რომლებიც ორიენტირებული იქნება როგორც ავტონომიურ/ინდივიდუალურ, ისე გუნდურ მუშაობაზე, კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და შემოქმედებითობაზე.

შედეგზე ორიენტირებული სწავლების მეთოდოლოგია

საკომუნიკაციო დავალების/ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული სწავლება (Task-Based Learning-TBL): მოსწავლე ჩართულია ამოცანის/დავალების შესრულებაში, აზროვნებს, მსჯელობს და თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში იყენებს. მასწავლებელი წინასწარ გაწერილი დავალებების მეშვეობით ქმნის სასურველ კონტექსტს, რათა მოსწავლე მაქსიმალურად დაიხარჯოს და კლასშივე აითვისოს თეორიული მასალა, შემდეგ კი, მომდევნო გაკვეთილებზე განამტკიცოს. ეს საკმაოდ მძლავრი კომუნიკაციური მეთოდია, ვინაიდან მოსწავლე მთელი აქტივობის მანძილზე ჩართულია და ცდილობს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას, მას ეს პროცესი მოსწონს და ავტომატურად სწავლობს *(Wills J., 2007).*

როლური თამაში ის მეთოდია, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოცადოს რეალისტური სიტუაციები სხვა ადამიანებთან ინტეგრაციით, რათა შეიძინოს გამოცდილება და გახდეს უფრო თავდაჯერებული. ეს მეთოდი მოსწავლეს უმატებს მოტივაციას, უქმნის რეალურ, ავთენტურ გარემოს და ამზადებს სამომავლო სამსახურებრივ და ორგანიზაციულ გარემოში ეფექტური ფუნქციონირებისათვის. მას უვითარდება ისეთი უნარები, როგორებიცაა დებატების წარმოება, გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა და დარწმუნების უნარი.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (Problem-Based learning – PBL) მოიცავს კომპლექსური რეალური პრობლემის გამოყენებას იმისათვის, რომ მოსწავლემ შეძლოს ცნებებისა და პრინციპების საფუძვლიანად შესწავლა. მეთოდი ემყარება შემდეგ სამ პრინციპს: დასმულია პრობლემური შეკითხვა, ხდება ამ შეკითხვის მცირე ჯგუფებში განხილვა და ბოლოს მოსწავლე წარმოადგენს განხილვის შედეგებს. მასწავლებელი მხოლოდ ფასილიტატორის როლშია. მოსწავლე ამ დროს იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ სწავლაზე და აქტიურად შეიმეცნებს ინფორმაციას. პრობლემის გადაჭრის მთლიანი ციკლი ასეთია: პრობლემის მოძებნა და განსაზღვრა, პრობლემის ჩამოყალიბება და წარმოდგენა, პრობლემის შესახებ ინფორმაციისა და რესურსების ორგანიზება და ცოდნის მობილიზება, შესაძლო ალტერნატივების ან გადაჭრის გზების მოძიება, შერჩეული სტრატეგიის განხორციელება და პროგრესზე დაკვირვება, შედეგების შემოწმება და შეფასება. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის პროცესი მოსწავლეს აყენებს აქტიური შემმეცნებლის როლში, მას წამოჭრილ პრობლემებთან გამკლავება უხდება. ბოლოს მოსწავლე კრიტიკულად აფასებს შესრულებულ დავალებას. თვითშეფასება კი არის მოსწავლის არსებითი უნარ-ჩვევა, რაც მას ეხმარება ეფექტიან და დამოუკიდებელ სწავლაში.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის დროს მოსწავლე არის პრობლემის გადამჭრელი, რომელიც ცდილობს პრობლემის გაგებას, ეძებს გამოსავალს და ამ პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზას. პროცესი მიმდინარეობს ღია და მხარდამჭერ გარემოში, სადაც მოსწავლე არის აქტიური და საკუთარ თავზე ორიენტირებული, ხოლო მასწავლებელი – თანამშრომელი, რომელიც მოსწავლეს აჩვენებს სწავლის მიმართ ენთუზიაზმისა და ინტერესის მაგალითს. აშკარაა, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების დროს მასწავლებელი-მოსწავლის ტრადიციული როლები იცვლება. მოსწავლე განავითარებს კოგნიტიურ სტრატეგიებს, რომლებიც მას ეხმარება უჩვეულო, მოულოდნელი და არარუტინული სიტუაციის ანალიზში. მნიშვნელოვანია, პრობლემის გადაჭრა ეფუძნებოდეს არასპეციფიკურ, ნაკლებად სტრუქტურირებულ სიტუაციას და მხოლოდ ერთი სწორი პასუხით არ შემოიფარგლებოდეს. პრობლემის ასეთი გზით მოგვარება მოსწავლეს რეალური ცხოვრებისეული სიტუაციებისთვის მზაობაში დაეხმარება. ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი მიზანი კი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, სხვადასხვა დისციპლინაში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ინტეგრირებაა.

ცოდნა და ღირებულებითი განათლება (Values and Knowledge Education-VaKE Method) არის ერთ-ერთი ეფექტური მიდგომა, რომელიც კონსტრუქტივისტული პრინციპის მატარებელია და ორიენტირებულია მოსწავლეებში ცოდნის გადაცემის გზით ღირებულებათა ჩამოყალიბებაზე, რაც სამომავლოდ გამჭოლ კომპეტენციებად

ყალიბდება. VaKE მეთოდი შემუშავდა ზალცბურგის უნივერსიტეტის პროფესორების მიერ და აქტიურად გამოიყენება საგანმანათლებლო სივრცეში. მეთოდი სწავლების ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიიჩნევს თემატიკის ავთენტურობასა და მის უპირობო კავშირს რეალურ გარემოსთან (*Weyringer S., Patry JL., Weinberger A. 2012),* რაც რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციათა შემოტანის შესაძლებლობას ქმნის საკლასო ოთხში. მეთოდი ორიენტირებულია ღირებულებებზე და მათ დილემაზე დაფუძნებული აქტივობების სახე აქვს. [1]

შებრუნებული საკლასო ოთახი (Flipped Classroom) როგორც მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, აქტიური სწავლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ნიშანდობლივია, რომ აქტიური სწავლება გულისხმობს მოსწავლის ინტელექტუალურ და ფიზიკურ ჩართულობას. შესაბამისად, ამ მეთოდის მეშვეობით მიღებული ცოდნა უნარებში ტრანსფორმირდება, რაც შესწავლილი თეორიული მასალის პრაქტიკულ აქტივობაში გადატანას გულისხმობს. მასწავლებელი წინასწარ აწვდის მოსწავლეს თეორიულ მასალას ვიდეო – ან/და აუდიოჩანაწერების სახით, რაც სწავლის პროცესში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებასაც გულისხმობს. შემდეგ მოსწავლე მას სახლში, მისთვის მისაღებ გარემოში, ეცნობა. დავალებად მიღებული თეორიული მასალა მოსწავლემ საკლასო გარემოში, თანაკლასელებთან ერთად და მასწავლებლის ფასილიტაციით უნდა დაამუშაოს და პრაქტიკულად განახორციელოს გუნდურ თუ ინდივიდუალურ აქტივობებში. აღნიშნული მეთოდით საშინაო დავალება საკლასო აქტივობაში ინაცვლებს და პირიქით.[2]

ქეისებით სწავლება (Case Study) – რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ასპექტების საკლასო მუშაობაში ინტეგრირებისთვის ქეისებით (ანუ შემთხვევის ანალიზი) სწავლება ერთ-ერთ საუკეთესო მიდგომად მიიჩნევა. ის აქტიური სწავლების ფორმაა და უზრუნველყოფს კლასის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა აქტივობებით. ქეისებით სწავლებისას გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ქეისი, რაც განსხვავებულ შედეგებზეა ორიენტირებული. ქეისი შესაძლოა იყოს დახურული ტიპის, რაც ანალიზის უნარის განსავითარებლად იქნება მიმართული; ღია ტიპის ქეისი, სადაც შედეგები არ არის ნათლად წარმოჩენილი, ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებისთვის განსაზღვრონ მოსალოდნელი შედეგები და გამოიტანონ დასკვნები. ამ ტიპის ქეისები იძლევა საშუალებას დისკუსიის წარსამართად, რომელშიც მოსწავლე ივითარებს კრიტიკულ აზროვნებას, კომუნიკაციურ და მსჯელობის უნარ-ჩვევებს. შესაძლებელია ქეისებით მუშაობისას ასევე გამოყენებულ იქნას გამოგონილი და რეალური ფაქტები. გამოგონილ ფაქტებზე აგებული ქეისების პრობლემა მათ რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებაა, ხოლო რეალური ფაქტების ქეისების ფორმატში წარდგენა კლასში მოითხოვს გარკვეული სახით ადაპტირებას და კლასის საჭიროებებზე მორგებას.

პროექტით სწავლება (Project Based Learning-PBL) – მეთოდი წარმოადგენს აქტიური სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფორმას, სადაც მოსწავლეები მუშაობენ არა უკვე შეთავაზებულ პრობლემაზე, არამედ თავად ირჩევენ სასწავლო თემატიკიდან ერთ-ერთს, რითაც ისინი ხდებიან ინიციატორები. მეთოდი თავისი ტექნიკური მახასიათებლებით – როგორებიცაა პრობლემის ინიციირება, საჭიროებათა განსაზღვრა, გადაჭრის გზებზე მუშაობის ფორმების შერჩევა – გუნდური თუ წყვილური – მსჯელო-

1 VaKE მეთოდით ხელმძღვანელობისას გასათვალისწინებელი ტექნიკური მახასიათებლები: აქტივობები – დილემის წარდგენა, გუნდური და ავტონომიური მუშაობა, არგუმენტირება, პროდუქტის შექმნისა და მიღებული შედეგების განზოგადება, მათი მსგავს ცხოვრებისეულ სიტუაციებში განხილვის შესაძლებლობები. საგანი – მეთოდი მოქნილია თითქმის ყველა იმ საგნისთვის, რომელშიც შესაძლებელია არგუმენტირებული მსჯელობისა და ღირებულებებსა და მორალზე ორიენტირებული დილემით მუშაობა. კლასი – მაღალი კლასები – VIII-XII.

2 შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდით ხელმძღვანელობისას გასათვალისწინებელი ტექნიკური მახასიათებლები: აქტივობები – მასწავლებლის მიერ მასალის აუდიო/ვიდეოვერსიის ჩაწერა, მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად დამუშავება, საჭირო ინფორმაციის მოძიება, გაჩენილი შეკითხვების მომზადება. საგანი – მეთოდი მოქნილია თითქმის ყველა იმ საგნისთვის, რომელშიც შესაძლებელია პრაქტიკული სამუშაოების შესრულება. კლასი – მაღალი კლასები – VIII-XII.

ბისა და შეჯამების სახით ქმნის შესაძლებლობას მოსწავლეებმა გამოიმუშაონ ლიდერობის, თანამშრომლობის, პრობლემის გადაჭრის გზების ძიების, კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარები. მეთოდი განსაკუთრებულად პროდუქტიულია სამოქალაქო გაკვეთილზე, რადგან მისი დახმარებით ხდება სახელმძღვანელოში მოცემული თეორიული შესასწავლი მასალის პროექტის სახით დამუშავება და ამით რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული ასპექტების ინტეგრირება საგაკვეთილო სივრცეში.

გამოყენებული წყაროები:

1. *ეროვნული სასწავლო გეგმა (NCP, 2016), ხელმისაწვდომია: https://mes.gov.ge/content.php?id=3923*
2. *National Curriculum Portal (2016). National Curriculum of Georgia. Retrieved on 24/12/2021 from: http://ncp.ge/files/ESG/NC%202018-2024/ესგ%20-%202018%20წლის%207%20სექტემბრიდან.pdf*
3. *Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia (2020b). Report on Distance Teaching and Learning and the New School Model) (ახალი სკოლის მოდელი დისტანციური სწავლებისას). Tbilisi: Ministry of Education and Science of Georgia*
4. *Weyringer S., Patry JL., Weinberger A. (2012) Values and Knowledge Education. In: Alt D., Reingold R. (Eds) Changes in Teachers' Moral Role. Moral Development and Citizenship Education, vol 6. SensePublishers, Rotterdam. Available at: https://doi.org/10.1007/978-94-6091-837-7_14*
5. *Wiggins, G. P., & McTighe, J. (2005): Understanding by design (2nd Ed.). Pearson*
6. *Wills J., (2007), A Framework for Task-Based Learning', in: 'Doing Task-Based Teaching'.by Willis D. Wills J., OUP, Longman*

მოდული 2.

დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ ცნობიერების ამაღლება

შესავალი

ღირებულებათა და, საერთოდ, სამოქალაქო განათლების საკითხთა ნაკლები პოპულარიზება სამომავლოდ საზოგადოებრივი აქტივობის სხვადასხვა დონეზე შეიძლება უარყოფითად გამოვლინდეს, მაგალითად, სოციალური საკითხების მიმართ დაბალი მოქალაქეობრივი შეგნებით, პასუხისმგებლობითა თუ ინდიფერენტულობით. დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ ცნობიერების ამაღლება სკოლის მოსწავლეთა შორის შესაძლებელია საკლასო ოთახის გარემოში, შესაბამისი სწავლების მეთოდთა გამოყენებითა და აქტივობებით; ან საკლასო ოთახის გარეთ, მოსწავლეთა დაგეგმილი ვიზიტებით სხვადასხვა ინსტიტუციაში შესასწავლ საკითხთა პრაქტიკულ გარემოში აღსაქმელად. ცოდნის გადაცემა მხოლოდ ინფორმაციის წიგნში ამოკითხვით ან მისი მოსმენით ვერ გახდება პროდუქტიული, თუ ის არ არის სიმულაციურ დონეზე მაინც განხილული და შემდგომ გაანალიზებული. მოსწავლეთა შორის დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ ცნობიერების ამაღლება შესაძლებელი ხდება სწავლების მრავალფეროვანი მიმდგომების გამოყენებით. საგაკვეთილო პროცესში ინფორმაციის მიღება ყოველთვის არ გულისხმობს მის ჯეროვნად გააზრებას, ხოლო შემდეგ პრაქტიკულ გამოყენებას. თეორიის პრაქტიკაში გარდაქმნა რთული, თუმცა საინტერესო პროცესია, რომლის განხორციელების გზებსაც მოსწავლე საგაკვეთილო პროცესში უნდა სწავლობდეს. სწორად შერჩეული პრაქტიკული საგაკვეთილო აქტივობები, რაც, ძირითადად, აქტიური სწავლებისას გამოიყენება, ხელს უწყობს მოსწავლეთა შორის სწორი დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას, მოცემულ შემთხვევაში კი — დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას.

სამიზნე ჯგუფი: მასწავლებლები, მოსწავლეები.

მოდულის მიზანი

მოდულის მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებს დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებაში. აღნიშნული საკითხის წარმატებით გადაწყვეტისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია პასუხი გაეცეს ორ ძირითად შეკითხვას: რატომ უნდა ვასწავლოთ დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ მოსწავლეებს? და, რაც მთავარია, როგორ უნდა ვასწავლოთ?

შემოთავაზებული მოდული ორიენტირებულია სხვადასხვა მეთოდისა და აქტივობის წარმოჩენაზე, რაც შესაძლებელს გახდის საქართველოს სკოლების ევროპეიზაციის პოლიტიკასა და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებული კვლევის (პოლიტიკის დოკუმენტი, ევროპული ღირებულებების სწავლება ...) შედეგად გამოკვეთილი პრობლემების სასკოლო სივრცეში გადაწყვეტას.

დემოკრატია არ არსებობს ძლიერი ინსტიტუტების გარეშე. დემოკრატია კი ის პოლიტიკური ღირებულებაა, რომელსაც აქვს ძლიერი მორალური კომპონენტი და წარმოადგენს საერთო ევროპულ ღირებულებას. იმისათვის, რომ ახალგაზრდა თაობა ეზიაროს საერთო (ევროპულ) ღირებულებებს, მან ისინი კარგად უნდა გაიაზროს, დაფიქრდეს საკუთარ დამოკიდებულებებზე, ხმამაღლა გამოთქვას აზრი და დაასაბუთოს.

მოდულში მითითებულია მეთოდები, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილია აღნიშნული ღირებულებების სწავლებისას. განხილული ცხოვრებისეული სიტუაციების გამოყენება მასწავლებელს შეუძლია უცვლელად ან, საჭიროებისამებრ, მცირე ცვლილებების შეტანით.

მოდულში მოყვანილია მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც გარკვეული ორიენტირია მასწავლებლისთვის. მითითებული დამატებითი რესურსების გამოყენება მასწავლებელს შეუძლია მოდულში განხილული საკითხების სწავლებისას. დანართში მოცემულია გაკვეთილის დაგეგმვის ნიმუში (იხ. დანართი 2.2).

არჩევნები და საარჩევნო ადმინისტრაცია

არჩევნების შესახებ საკითხის წამოწევა მიზნად ისახავს მოსწავლეთა მიერ არჩევნების, როგორც დემოკრატიის განუყოფელი ნაწილის, დანახვას. არჩევნები არის პროცესი, რომლის დანიშნულება და შედეგია საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებისა და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირთა არჩევა; არჩევნების საშუალებით ხორციელდება წარმომადგენლობითი დემოკრატია. თავისუფალი, სამართლიანი და ხშირი არჩევნები აუცილებელია ეფექტური მონაწილეობისა და ხმის მიცემისას თანასწორობის უზრუნველსაყოფად. ასეთ არჩევნებში მოქალაქეებს შეუძლიათ მონაწილეობა როგორც ამომრჩევლის, ისე კანდიდატის როლში. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის დამოუკიდებელი წყაროები და გაერთიანებების თავისუფლება აუცილებელია ინფორმირებული ელექტორატის ეფექტიანი მონაწილეობისა და მოქალაქეთა მიერ დღის წესრიგის კონტროლისთვის. თუ ამომრჩეველი არჩევნებისას განიცდის ზეწოლას და არ ელოდება სამართლიან შედეგს, ის ნაკლები ენთუზიაზმით მიიღებს მასში მონაწილეობას. უსამართლოდ ჩატარებული არჩევნები უთანასწორო პირობებში აყენებს ამომრჩევლებს. ხშირი არჩევნები კი აუცილებელია ხელისუფლების პასუხისმგებლობის დონის შესანარჩუნებლად და ნებისმიერი ამომრჩევლისთვის ნების გამოხატვის შესაძლებლობის მისაცემად.

არჩევნების დემოკრატიულობის შესაფასებლად ეუთოს მიერ შემუშავებულ დებულებათა არსი შეიძლება გადმოიცეს შვიდი საკვანძო სიტყვით: საყოველთაო, თანასწორი, სამართლიანი, ფარული, თავისუფალი, ღია და ანგარიშვალდებული (The Principles of Democracy). მოსწავლეების მიერ არჩევნების არსი გაგებული იქნება მაშინ, როცა ისინი გაითავისებენ არჩევნებში ერთი ხმის მნიშვნელობას. არჩევნების ხარისხიანად ჩატარებას უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაცია.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია შედგება საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა (ცესკო) და მისი აპარატისგან, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საარჩევნო კომისიებისა (უსკო) და მათი აპარატებისგან, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისგან; საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე არის საარჩევნო კომისიის წევრი და აპარატის თანამშრომელი; საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს საარჩევნო კოდექსით (საარჩევნო კოდექსი).

ხელისუფლების დაყოფა შტოებად

მოსწავლეებმა დღეს კარგად იციან, თუ რა შტოებად ხდება ხელისუფლების დანაწილება, თუმცა ვერ იაზრებენ იმ საფრთხეებს, რომელთა თავიდან აცილებას ემსახურება ეს.

ხელისუფლების შტოებად დანაწილება დღევანდელი გაგებით მოიცავს:

ა) სახელმწიფო ხელისუფლების ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ გამიჯვნა-გადანაწილებას.

პირველი გულისხმობს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების შტოების გამოყოფას და დამოუკიდებელ ლეგიტიმაციას, ხოლო მეორე – ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ ხელისუფლებას (ცენტრალურ, ადგილობრივ მმართველობასა და თვითმმართველობას) შორის უფლებამოსილებათა გადანაწილებას;

ბ) კონტროლისა (ურთიერთშეკავების) და გაწონასწორების წესებს, რომელთა მეშვეობითაც სხვადასხვა განშტოებას შეუძლია დანარჩენი განშტოებანი გააკონტროლოს და წინ აღუდგეს მათ მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ან/და თავისი უფლებამოსილების ფარგლებიდან გასვლას;

გ) განშტოებათა თანამშრომლობას, რაც განპირობებულია განშტოებათა ერთგვაროვანი სახელმწიფოებრივი ბუნებით. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად საკითხებში ხელისუფლების ყველა განშტოების მოქმედება ურთიერთშეთანხმებული უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება სახელმწიფოს მართვა, რაც გამოიწვევს ანარქიასა და საზოგადოების ინტერესების შელახვას (კ. კიღურაძე).

წარმომადგენლობითი ორგანოები პასუხისმგებელნი არიან ადგილობრივი პოლიტიკისა და კანონმდებლობის ფორმირებაზე, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება და საჯარო მოხელეები – პოლიტიკისა და კანონების რეალურ ცხოვრებაში გატარებაზე.

ზემოთქმულის გააზრება დაანახებს მოსწავლეებს, რომ ხელისუფლების შტოებად დაყოფა ხელს უწყობს დემოკრატიულ მმართველობას და ავტორიტარიზმის თავიდან აცილებას.

მოქალაქეების მონაწილეობა კანონშემოქმედების პროცესში

მოსწავლეები იშვიათად ამახვილებენ ყურადღებას მოქალაქის ინდივიდუალურ, კერძომოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე. განსაკუთრებით ნაკლებად იცნობენ საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობას, რომელიც წარმოადგენს ხალხის მმართველობის ერთ-ერთ გამოვლინებას. მოქალაქეს საკანონმდებლო საქმიანობაში მონაწილეობა სხვადასხვა გზით შეუძლია, იქნება ეს კანონპროექტის პარლამენტში წარდგენა თუ პარლამენტის კომიტეტის სხდომებში მონაწილეობა. მოქალაქეს ან რომელიმე ორგანიზაციას შეუძლია პარლამენტს მიმართოს საკანონმდებლო წინადადებითაც და რაიმე იდეა მიაწოდოს. თუ წინადადება პარლამენტს მოეწონება, შეუძლია კანონპროექტად აქციოს და შესაბამისი სახით განიხილოს. პარლამენტის ვებგვერდზე განთავსებულია ყველა კანონპროექტი, რომლებსაც ეს ორგანო განიხილავს. მოქალაქეებს შეუძლიათ ვებგვერდზევე დატოვონ კომენტარი ნებისმიერი კანონპროექტის შესახებ და კომიტეტი ვალდებულია განიხილოს თითოეული ასეთი მოსაზრება (იხ. მაგალითი). მოქალაქეებს შეუძლიათ, აგრეთვე, პეტიციით მიმართონ პარლამენტს. პეტიციაზე ხელმოწერების შეგროვება შესაძლებელია პარლამენტის ვებგვერდის მეშვეობითაც. თუ პეტიციას ბევრი მხარდამჭერი გამოუჩნდება, მოსალოდნელია, რომ პარლამენტი დააკმაყოფილებს მას (იხილეთ მაგალითი).

ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობა

დემოკრატიის ხარისხი გარკვეულწილად ადგილობრივი თვითმმართველობის ქმედუნარიანობით განისაზღვრება, რაც მოსახლეობის მონაწილეობითაც არის განპირობებული. მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში არამარტო მათი უფლებაა, არამედ პასუხისმგებლობაც. თვითმმართველობა უპირველესად არის მოქალაქეთა თვითორგანიზაცია, ერთობლივად გადაწყვიტონ საერთო ინტერესების მქონე საკითხები. სწორედ მოქა-

ლაქეთა მონაწილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში არის თვითმმართველობის დამოუკიდებლობის უმთავრესი გარანტი და თვითმმართველობის განხორციელების შეფასების ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმიც – რაც უფრო მეტი მოქალაქეა ჩართული თვითმმართველობის განხორციელებაში, მით უფრო მაღალია თვითმმართველობის განხორციელების ხარისხი. მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმების გაცნობით მოსწავლე ეცნობა გზებს, თუ როგორ მიიღოს მონაწილეობა იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც მას ან მის უახლოეს გარემოცვას აწუხებს. მოქალაქეთა მონაწილეობისკენ გზა გადის ინფორმაციის თავისუფლებაზე, ინფორმაციის თავისუფლების გარეშე რეალურად შეუძლებელია განხორციელდეს მონაწილეობის ნებისმიერი ფორმა.

სოციალური სახელმწიფო

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. როცა მოსწავლე ეცნობა სოციალური სახელმწიფოს არსს, ის ხვდება იმ პასუხისმგებლობებს, რასაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს. სოციალური სახელმწიფო მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო ძლიერია ეკონომიკურად.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მექანიზმები

დემოკრატიულ სახელმწიფოში ადამიანის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებლობა ყოველთვის სახელმწიფოს ეკისრება. სახელმწიფოები, ერთი მხრივ, ვალდებული არიან თავი შეიკავონ ისეთი აქტიური მოქმედებისაგან, რომელიც ადამიანის უფლებებს დაარღვევს და ამას სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულება ეწოდება. მეორე მხრივ, სახელმწიფოები ვალდებული არიან მიიღონ სათანადო ზომები და აქტიურად იმოქმედონ, რათა უზრუნველყონ ადამიანის უფლებათა რეალიზაცია ან თავიდან აიცილონ სხვა კერძო სუბიექტთა მიერ ადამიანის უფლებებში არამართლზომიერი შეჭრა, რასაც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ეწოდება. ადამიანის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში არსებობს საშუალებები, რომლებსაც მოქალაქეები მიმართავენ უფლებების აღსადგენად. ასეთებია:

ა) საქართველოს სახალხო დამცველი: სახელმწიფოს მიერ მოქალაქის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოქალაქეს შეუძლია მიმართოს სახალხო დამცველს. ამ უკანასკნელს შეუძლია, უფლებების დამრღვევ ორგანოს მიმართოს რეკომენდაციით, განუმარტოს, რამ გამოიწვია მოქალაქის უფლებების დარღვევა და რა გზები არსებობს მათ აღსადგენად. როგორც თავად ტერმინი – რეკომენდაცია – მიუთითებს, სახალხო დამცველის მიმართვა არ არის სავალდებულო – მიმართვის ადრესატს შეუძლია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს მას. სახალხო დამცველი, მოქალაქის მიმართვის გარეშეც, საკუთარი ინიციატივით იკვლევს მოქალაქეთა უფლებების დაცვის მდგომარეობას, მაგალითად, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

ბ) საერთო სასამართლოები: საქართველოში საერთო სასამართლოები აერთიანებს: საქალაქო (რაიონული) სასამართლოებს, რომლებიც პირველი ინსტანციით განიხილავენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებს; თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებს, რომლებიც მეორე ინსტანციით იხილავენ საქალაქო (რაიონული) სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით საჩივრებს; საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რომელიც საკასაციო საჩივრის საფუძველზე განიხილავს სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხებს.

გ) საკონსტიტუციო სასამართლო: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო იხილავს საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისობას კონსტიტუციასთან და თუ მივა დასკვნამდე, რომ კანონი ან სხვა ნორმატიული აქტი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, შეუძლია ის ძალადაკარგულად გამოაცხადოს. თუ არსებობს ვარაუდი, რომ ნორმატიული აქტი კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს არღვევს, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვა როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირებს შეუძლიათ.

ადგილობრივი საშუალებების ამოწურვის შემდეგ მოქალაქეებს შეუძლიათ მიმართონ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებს *(იხ. დანართი 2.1,* მაგალითი 4*)*, როგორებიცაა გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო (უნივერსალური მექანიზმი) ან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (რეგიონული მექანიზმი).

თუ ადამიანის უფლებები ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვია, ამ ფაქტის სასამართლოში გასაჩივრებამდე უნდა იქნას გამოყენებული ადმინისტრაციული გასაჩივრების წესი, რაც იმავე ორგანოს ხელმძღვანელთან ან მის ზემდგომთან ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენას გულისხმობს. თუ საჩივარი არ დაკმაყოფილდა, მოქალაქემ უნდა მიმართოს სასამართლოს.

დ) ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმია გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო, რომელსაც მიმართავენ ადგილობრივი საშუალებების ამოწურვის შემდეგ. ეს არის უნივერსალური მექანიზმი. რეგიონული საერთაშორისო ინსტრუმენტები უფრო ეფექტურია.

ადამიანის უფლებების ევროპული სისტემა შედგება სამი ნაწილისგან:

- ევროსაბჭოს სისტემა
- ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
- ევროპის კავშირი

ადამიანის უფლებების ევროპული სისტემა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების საპასუხოდ ჩამოყალიბდა, ყველაზე დახვეწილ რეგიონულ სისტემად მიიჩნევა. ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და პლურალისტური დემოკრატია ევროპის სამართლებრივი წყობის ქვაკუთხედია.

თუ მოქალაქე თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა და ადგილობრივმა სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მისი სარჩელი (ვის წინააღმდეგაც არ უნდა იყოს), მას შეაქვს სარჩელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია) თავისი სახელმწიფოს წინააღმდეგ, რადგან სახელმწიფომ ვერ მოახერხა მისი უფლებების დაცვა (საკითხის უკეთ გააზრების მიზნით იხ. დანართი 2.1, მაგალითები: 1,2,3).

სწავლების რეკომენდებული მეთოდოლოგია

ა) VaKE (ცოდნა და ღირებულებითი განათლება) მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეების წინაშე შეიძლება დაისვას შემდეგი სავარაუდო დილემური კითხვები:

- უნდა განიხილოს თუ არა პარლამენტის კომიტეტმა ნებისმიერი მოქალაქის კომენტარებში გამოთქმული მოსაზრება კანონპროექტის შესახებ? რას უზრუნველყოფს ასეთი მიდგომა?
- უნდა იყოს თუ არა წინასაარჩევნო პერიოდში დაშვებული აზრის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის დამოუკიდებელი წყაროებისა და გაერთიანებების თავისუფლება?
- უნდა შეიტანოს თუ არა მოქალაქემ საკუთარი სახელმწიფოს წინააღმდეგ საჩივარი ევროპის სასამართლოში, თუ სახელმწიფომ ვერ დაიცვა მისი უფლებები?

ბ) პროექტით სწავლება – მიზანშეწონილია ამ მეთოდით ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებული საკითხების სწავლება.

გ) როლური თამაში – შესაძლებელია ამ მეთოდის გამოყენება ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების, მოქალაქეთა ადგილობრივ თვითმმართველობაში მონაწილეობის სწავლებისას.

დ) ქეისებით სწავლება მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს – ნიმუშის სახით წარმოდგენილი მაგალითები (იხ. დანართი 2.1).

ე) დისკუსიის მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას დამოუკიდებლად ან სხვა მეთოდთან კომბინაციაში.

კლასის ორგანიზების ფორმები: ინდივიდუალური სამუშაო, ჯგუფური სამუშაო, საერთო საკლასო სამუშაო.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეები გაიაზრებენ:

- დემოკრატიული ინსტიტუტების მნიშვნელობას დემოკრატიულ წყობილებაში
- მოქალაქეთა მმართველობაში მონაწილეობის არსსა და შესაძლებლობებს
- ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს.

მოსწავლეები შეძლებენ:

- თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის მოდელირებას.
- ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმების მისადაგებას კონკრეტული შემთხვევებისთვის.

ვფიქრობთ, საერთო ღირებულებებთან დაკავშირებული საკითხების სწავლება ზემოაღნიშნული რეკომენდებული მეთოდებით მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მოსწავლეთა მხრიდან მათ სათანადოდ გაცნობიერება-გათავისებას.

გამოყენებული წყაროები:

1. *ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი 27/12/2011, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0*
2. *კიღურაძე კ. სამოქალაქო განათლება თვითმმართველობაში ჩართულობისთვის, სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმი, 2016*
3. *პოლიტიკის დოკუმენტი, ევროპული ღირებულებების სწავლება საქართველოს სკოლებში, ევროპის უნივერსიტეტი, 2021*
4. *საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს საარჩევნო კოდექსი, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=72*
5. *The Principles of Democracy, Official page of European Union, Available at: https://www.sjsu.edu/people/ken.nuger/courses/pols120/Ch-3-Principles-of-Democracy.pdf*

მოდული 3.
ტოლერანტობისა და თანასწორობის იდეის დამკვიდრების ხელშეწყობა

შესავალი

ზოგადად, თანამედროვე სკოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა, აღზარდოს ტოლერანტული იდეების მატარებელი ჰუმანური პიროვნება, მოქალაქე, რომელიც შეძლებს სათანადოდ შეაფასოს მრავალფეროვანი საზოგადოება არა როგორც ცალკეული, განსხვავებული, შეუთავსებელი კულტურების ნაკრები, არამედ როგორც ის ერთობა, სადაც კომპლექსური რელიგიური, კულტურული და ეთნიკური განსხვავებები აღიარებულია საერთო, მთლიან დემოკრატიულ ჩარჩოში. სწორედ ამიტომ ტოლერანტული განათლება, ფაქტობრივად, იწყება საკლასო ოთახიდან, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ინტეგრაციის, ჰუმანიზაციის, შემოქმედებითობის და კულტურიზაციის პრინციპებს. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია სწავლების პროცესში არამხოლოდ რელევანტური სასწავლო მასალისა და სწავლების მეთოდების, არამედ აგრეთვე ტოლერანტული მიდგომისა და სათანადო ენის გამოყენებითაც. ამ მიდგომის წარმატებით დანერგვისათვის კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია როგორც მასწავლებლებმა, ისე სასწავლო გეგმის შემდგენლებმა, სახელმძღვანელოების ავტორებმა, თვით სკოლის ადმინისტრაციამაც კი, გაითვალისწინოს ისეთი საკითხები, რომლებიც მოსწავლეებს არამხოლოდ ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარების, არამედ, პირველყოვლისა, ჰუმანიზმით განმსჭვალული ღირებულებებისა თუ პრინციპების საფუძველზე მოქმედების, მრავალფეროვან გარემოში განსხვავებულის მიმღებლობის, თანაბარი ჩართულობის, ემპათიის გამოვლენისა და ტოლერანტული ქცევის დაფასების შესაძლებლობას მისცემს.

სამიზნე ჯგუფი: დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები.

მოდულის მიზანი

მოდულის მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებს ტოლერანტობისა და თანასწორობის შესახებ მოსწავლეების ცნობიერების ამაღლებასა და ამ იდეების დამკვიდრებაში.

საკითხების მოკლე მიმოხილვასთან ერთად, მოდულში მოცემულია მეთოდური მითითებები, რომლებიც მიზანშეწონილია მეცადინეობის ჩატარებისთვის.

წინამდებარე რეკომენდაციის დანართის სახით (იხ. დანართი 3.1) განხილული ცხოვრებისეული სიტუაციების გამოყენება მასწავლებელს შეუძლია უცვლელად ან, საჭიროებისამებრ, მცირე ცვლილებების შეტანით.

მოდულში მოყვანილია მოსალოდნელი შედეგები, რაც გარკვეულ ორიენტირს წარმოადგენს მასწავლებლისთვის.

დანართის სახითაა მოცემული გაკვეთილის დაგეგმვის ნიმუში, რომლის ბოლოს შემოთავაზებულია რეკომენდებული დამატებითი რესურსები, რითაც შეიძლება იხელმძღვანელოს მასწავლებელმა მოდულში განხილული საკითხების სწავლებისას (იხ. დანართი 3.2).

ტოლერანტობის არსი

საერთო ევროპულ ღირებულებებში ტოლერანტობა ევროპული და მორალური ტრადიციისთვის ფუნდამენტური საკითხია. ტოლერანტობას სხვადასხვა განმარტება აქვს, ამიტომ ის ხშირად სხვადასხვანაირად არის გაგებული. იუნესკოს ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაციის თანახმად, ტოლერანტობა მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალურობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. მას ხელს უწყობს ცოდნა, ღიაობა, ურთიერთობა და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლება. ტოლერანტობა თავისუფლებაა მრავალფეროვნებაში, ეს მარტო მორალური ვალი კი არა, პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნაცაა. ტოლერანტობა სათნოებაა, რომელიც ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას განაპირობებს.

ევროპარლამენტის კვლევა (*Research for CULT Committee,* 2017) განასხვავებს ტოლერანტობის სამ (პიროვნებათშორისი ურთიერთობები, ტოლერანტობა სხვა სოციალური და კულტურული ჯგუფების მიმართ, ინკლუზიური საზოგადოება) კომპონენტს.

ტოლერანტობის გამოვლინება, რაც ადამიანის უფლებების პატივისცემას გულისხმობს, არ ნიშნავს სოციალური უსამართლობის შეწყნარებას ან ადამიანის მიერ საკუთარ შეხედულებებზე უარის თქმასა თუ მათ დათმობას.

ტოლერანტობა სახელმწიფო დონეზე საჭიროებს სამართლიან და მიუკერძოებელ კანონმდებლობას, კანონის დაცვას, სასამართლო და ადმინისტრაციულ საპროცესო ნორმებს.

ტოლერანტობის დამკვიდრების ყველაზე ქმედით საშუალებად მიჩნეულია განათლება.

მრავალფეროვნება

საზოგადოების მრავალფეროვნებას განაპირობებს იდენტობის წყაროები. დადგენილია იდენტობის, თვითმყოფადობის 12 წყარო (ტაბატაძე, და სხვ. 2008). ესენია: ეთნიკურობა/ნაციონალობა, რასა, ენა, სოციალური კლასი, შესაძლებლობა/შეზღუდული შესაძლებლობა, სქესი, ჯანმრთელობა, ასაკი, გეოგრაფიული რეგიონი, სექსუალური ორიენტაცია, რელიგია და სოციალური სტატუსი. მრავალფეროვნება ნებისმიერ საზოგადოებაში ვლინდება. მრავალფეროვან კონტექსტში, სკოლაში, ადამიანურ ურთიერთობებზე საუბრისას მნიშვნელოვანია განსხვავებულ ჯგუფებს შორის ურთიერთობის პრობლემები და მასწავლებლის სწრაფვა, შეძლოს სხვადასხვა ადამიანებს შორის არადისკრიმინაციული ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება; არსებული მრავალფეროვნების რესურსად გამოყენება.

ქართულ სკოლებში ევროპული ღირებულებების სწავლების საკითხებზე ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ მოსწავლეების დიდი უმრავლესობა გამოირჩევა ეთნიკური უმცირესობების მიმართ გაცილებით უფრო მაღალი მიმღებლობით, ვიდრე განსხვავებული რელიგიური კონფესიების (განსაკუთრებით მუსლიმების) წარმომადგენელთა მიმართ. (პოლიტიკის დოკუმენტი, 2021*)* . მაშასადამე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რელიგიური მრავალფეროვნების საკითხს, მის კავშირს ადამიანის უფლებებთან და სეკულარული სახელმწიფოს არსს.

სეკულარული (საერო) სახელმწიფოს არსი

საერო სახელმწიფო არის იდეა, რომელიც დაკავშირებულია სეკულარობასთან, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო არის ან აცხადებს, რომ ოფიციალურად ნეიტრალურია რელიგიის საკითხებში, არ უჭერს მხარს არც რელიგიას და არც არარელიგიურობას. სეკულარული სახელმწიფო აცხადებს, რომ ყველა თავის მოქალაქეს ერთნაირად ექცევა, განურჩევლად რელიგიისა, და აცხადებს, რომ თავს არიდებს მოქალაქის უპირატეს მოპყრობას მათი რელიგიური მრწამსის, კუთვნილების ან რომელიმე მათგანის არარსებობის საფუძველზე სხვა პროფილის ადამიანებთან შედარებით.

სეკულარულ სახელმწიფოებს არ აქვთ სახელმწიფო რელიგია / სასურველი რელიგია (როგორიცაა – დამკვიდრებული რელიგია) ან ეკვივალენტი, თუმცა დადგენილი სახელმწიფო რელიგიის არარსებობა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო არის სრულიად სეკულარული ან თანასწორუფლებიანი ყველა თვალსაზრისით. მაგალითად, ზოგიერთ სახელმწიფოს, რომელიც თავს სეკულარულს უწოდებს, აქვს რელიგიური მითითებები ეროვნულ ჰიმნებში და დროშებში, ან კანონები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ კონკრეტულ რელიგიას.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

კონსტიტუცია აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში და მის დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან. საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობა განისაზღვრება კონსტიტუციური შეთანხმებით, რომელიც სრულად უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში.

სწორედ ადამიანის უფლებების სფეროში აღიარებულ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს მოსწავლეებში რელიგიური ტოლერანტობის იდეის დამკვიდრება.

ტოლერანტული გარემოს შექმნა სკოლაში

სკოლაში ტოლერანტული გარემოს შექმნა ითვლება მოსწავლეებზე ძალადობისა და ბულინგის თავიდან აცილების ორიდან ერთ-ერთ მთავარ პირობად. მეორედ მიჩნეულია სოციო-ემოციური აღზრდა.

ტოლერანტული გარემო გულისხმობს:

- თანამშრომლობითი სასკოლო კულტურის განვითარებას;
- პოზიტიური დისციპლინის დანერგვას;
- კულტურულად მრავალფეროვან გარემოში განსხვავებულის მიმღებლობის დამკვიდრებას;
- კონფლიქტის არაძალადობრივი გზით გადაჭრის სწავლებას;
- ემპათიის განვითარებას;
- თანაბარი ჩართულობის შესაძლებლობების შექმნას.

სწავლების რეკომენდებული მეთოდოლოგია

პროექტით სწავლება – მიზანშეწონილია კულტურულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლებისას.

შებრუნებული საკლასო ოთახი – მიზანშეწონილია სეკულარული სახელმწიფოს საკითხის შესწავლისას.

დისკუსია – მიზანშეწონილია ნებისმიერი საკვანძო საკითხის განხილვისას.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება – ამ მეთოდის გამოყენება შესაძლებელია, მაგალითად, თანაბარი ჩართულობის შესახებ საკითხის განხილვისას.

მოსალოდნელი შედეგები

მოსწავლეები გაიაზრებენ:

- მრავალფეროვნებას, როგორც სიმდიდრეს;
- სეკულარული სახელმწიფოს არსს;
- კულტურული განსხვავებულობის მიმღებლობას ადამიანის უფლებათა დაცვის ჭრილში.

მოსწავლეები შეძლებენ:

- ყველა მოსწავლისთვის თანაბარი ჩართულობის გზების მოძებნას საკლასო თუ სასკოლო ცხოვრებაში;
- ემპათიის გამოხატვას კონკრეტულ სიტუაციაში;
- ტოლერანტული ქცევის უპირატესობების დანახვას.

ვფიქრობთ, სწავლების რეკომენდებული მიდგომა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზემოაღნიშნული საკითხების სათანადოდ გააზრება-გათავისებას.

გამოყენებული წყაროები:

1. *ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი 27/12/2011, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0*
2. *პოლიტიკის დოკუმენტი, ევროპული ღირებულებების სწავლება საქართველოს სკოლებში, ევროპის უნივერსიტეტი, 2021*
3. *ტაბატაძე შ., ნაცვლიშვილი ნ., ინტერკულტურული განათლება, თბ., 2008*
4. *UNESCO-ს ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაცია, ხელმისაწვდომია http://tolerantoba.ge/index.php?id=1317639567&kat=166*
5. *Research for CULT Committee – Teaching Common Values in Europ, European Parliament, 2017 https://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/STUD/2017/585918/IPOL_STU(2017)585918_EN.pdf*

მოდული 4.

ეროვნული და კულტურული იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლება

შესავალი

ჟან მონეს პროექტის – „**ევროპული ღირებულებები საქართველოს სკოლებში**“ – ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა სოლიდურ ნაწილს უჭირს გააზრებული პასუხის გაცემა კითხვაზე: მაინც, რას ნიშნავს ქართველობა? ვინ არის ქართველი? რა განსაზღვრავს ქართველი ერის უნიკალურობას? რა ადგილი უჭირავს საქართველოს თანამედროვე მსოფლიოში? როგორია მათი ხედვა ქვეყნის კულტურული და ისტორიული იდენტობის შესახებ? (პოლიტიკის დოკუმენტი, 2021). ამ გამოწვევასთან გამკლავებისა და მოსწავლეებში *ეროვნული თუ კულტურული იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია* სასწავლო პროცესში ყურადღების გამახვილება საქართველოს ეროვნულ იდენტობაზე, ასევე, ქართული იდენტობის იმ თავისებურებებზე, რომლებიც ქართულ კულტურას უნიკალურს ხდის. საკუთარი კულტურული იდენტობის უკეთ შეცნობა და გააზრება კი, თავის მხრივ, სხვა კულტურული თუ ეროვნული იდენტობებისადმი ტოლერანტული მიდგომის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.

სამიზნე ჯგუფი: მასწავლებლები, მოსწავლეები.

მოდულის მიზანი

მოდულის მიზანია დაეხმაროს მასწავლებლებს **ეროვნული და კულტურული იდენტობის** შესახებ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებაში, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მოსწავლეებში ისეთი სააზროვნო თუ ქცევითი უნარების განვითარებასა და დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რომ მათ შეძლონ: საქართველოს ეროვნული იდენტობის (ისტორიული და კულტურული თავისებურებების) გაცნობიერება; თანამედროვე მსოფლიოში საქართველოს ადგილის გააზრება; მრავალკულტურულ გარემოში ადაპტირება.

შემოთავაზებული მოდული ორიენტირებულია პიროვნების, ქცევისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების გააზრების, პიროვნების იდენტობის ფორმირების პროცესზე ზემომქმედი ფაქტორების, ქართველი ერის უნიკალურობის გაცნობიერებისა და ეროვნული თუ კულტურული იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობი სასწავლო აქტივობების წარმოჩენაზე, რაც შესაძლებელს გახდის ზემოაღნიშნული კვლევის შედეგად გამოკვეთილი პრობლემების სასკოლო სივრცეში გადაწყვეტას.

მოდულში რეკომენდაციის სახითაა შემოთავაზებული სწავლის მოსალოდნელი შედეგები, რაც გარკვეულ ორიენტირს წარმოადგენს მასწავლებლისთვის. შემოთავაზებული აქტივობებისა და მითითებული წყაროების გამოყენება მასწავლებელს შეუძლია მოდულში განხილული საკითხების სწავლების დაგეგმვისას.

ეროვნული და კულტურული იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლება

მოსწავლეების უმეტესობა ხშირად მხოლოდ პიროვნული მიზნების იდენტიფიცირებას ახდენს და მიჯნავს საკუთარ თავს ფართო ჯგუფის სოციალური ველისგან. საჭიროა, რომ მოსწავლემ სწორად გაიაზროს და საკუთარი თავი დაინახოს ფართო ქართულ სოციუმში. პიროვნების სახელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და ის, უმეტეს შემთხვევაში, ეთნიკურ კუთვნილებასაც უკავშირდება *(**გამსახურდია,** 2016)*. მოსწავლე საკუთარი თავის თვითიდენტიფიცირებას პირველად სწორედ მისი მეშვეობით ახდენს, შესაბამისად, მისი სახელის მატარებელი საქართველოს ეროვნული გმირების, მეფეების და საზოგადო მოღვაწეების მაგალითების განხილვამ, შესაძლოა ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას მისცეს პირველი ბიძგი. პერსონალური იდენტობის დაკავშირება კოლექტიურ კულტურულ ფასეულობებთან სასურველი შედეგის მომტანი იქნება. ეროვნულ თუ კულტურულ იდენტობასთან[3] დაკავშირებული საკითხების განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს, ასევე, სოციალურ გარემოზე, როგორც თვითგამორკვევის და იდენტობის მაფორმირებელ უმთავრეს ფაქტორზე. ზოგიერთ მოსწავლეს აქვს შერეული, ან განსხვავებული ეთნიკური იდენტობა. შესაბამისად, კრიტიკულად მნიშვნელოვანია საკითხების იმდაგვარი

---

3 ეროვნული და კულტურული იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშემწყობ სარეკომენდაციო ღონისძიებებზე საუბრამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგიერთი საკვანძო ტერმინზე შეთანხმება.

იდენტობა – ღირებულებების, მრწამსის და მახასიათებლების ერთობლიობა, რაც განასხვავებს ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს სხვებისგან (merriam-webster dictionary). ჯ. ჰ. მიდის აზრით, იდენტობა წარმოადგენს არა სტაბილურ და სუბსტანციურ წარმონაქმნს, არამედ დინამიკურ მოცემულობას (გამსახურდია, 2016). სოციალურ მეცნიერებებში საყოველთაოდ შეთანხმებული მოსაზრების თანახმად, იდენტობა არის თავისთავადობის შეგრძნება, რომელიც ბავშვს უყალიბდება ზრდის პროცესში, „მე“-ს შედარებით მყარი, უწყვეტი განცდა საკუთარი თავისა; ესაა ინდივიდის თვითცნობიერების მნიშვნელოვანი კომპონენტი – წარმოდგენების სისტემა საკუთარ თავსა და თვისებებზე, უნარებზე, გარეგნობაზე, სოციალურ ღირებულებაზე. ამ წარმოდგენების საფუძველზე ადამიანი ააგებს ურთიერთობებს საკუთარ თავთანაც და სხვებთანაც. ამერიკელი ფსიქოლოგის, ერიკ ერიქსონის, თვალსაზრისით, იდენტობა ყალიბდება სოციალურ ინტერაქციაში, ამდენად, განსაზღვრულია სოციალურ-კულტურული კონტექსტით. ამ საკითხთან მიმართებით ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში ბევრი რამ მსგავსად აიხსნება. მაგრამ არის განსხვავებებიც, ძირითადად, იდენტობის აქცენტირებისა და მისი ფორმირების პროცესის თაობაზე. ბოლო პერიოდში იდენტობამ მნიშვნელოვანი სოციოლოგიური კონცეფციის სახე მიიღო. დღეს ყურადღება მახვილდება უკვე სოციალური იდენტობის ეთნოკულტურულ ასპექტზეც, რაც დაკავშირებულია კულტურაში პიროვნების მოდელის შესახებ წარმოდგენებთან (იდენტობის განმარტების თაობაზე უფრო ვრცლად იხ. ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში *http://dictionary.css.ge/content/identity*).

ეთნიკური იდენტობა – ეთნიკურ ჯგუფთან კუთვნილების გრძნობა. აზროვნების, აღქმის, გრძნობებისა და ქცევის ასპექტები, რომლებიც განპირობებულია ეთნიკური ჯგუფის წევრობით. ეთნიკური იდენტობა განსხვავდება პიროვნების, როგორც ინდივიდის, პიროვნული იდენტობისგან, თუმცა ამ ორმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ერთმანეთზე (Phinney, 1992). არსებობს ეთნიკური იდენტობის ოთხი ძირითადი კომპონენტი:

* ეთნიკური ცნობიერება – საკუთარი და სხვა ჯგუფების აღქმა.
* ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია – სახელი, რომელიც გამოიყენება საკუთარი ჯგუფისთვის.
* ეთნიკური დამოკიდებულება – გრძნობები საკუთარი და სხვა ჯგუფების მიმართ.
* ეთნიკური ქცევები – ეთნიკური ჯგუფისთვის დამახასიათებელი ქცევა (Phinney,1992).

ეროვნული იდენტობა – საზოგადოების სურათი, რომელიც ასახავს ერთიანობას და სიმბოლურად გამოიხატება დროშაში, კანონებში, ეროვნულ ჰიმნსა და წეს-ჩვეულებებში (ოქსფორდის ლექსიკონის განმარტება).

კულტურული იდენტობა – ეფუძნება გაზიარებულ ღირებულებებს, ცოდნას, ქცევით ნორმებსა და რწმენებს. ერთი კულტურული იდენტობის ჯგუფი, შესაძლოა, აერთიანებდეს ადამიანებს მსგავსი ეთნიკური, რასობრივი ან ეროვნული იდენტობებით და, შესაბამისად, კულტურული იდენტობა, როგორც ცნება, უფრო ფართოა, ვიდრე ეთნიკური თუ ეროვნული იდენტობები (ინტერკულტურული განათლება, 2015).

რაკურსით განხილვა, რომ მათაც დაუკავშირონ საკუთარი თავი საქართველოს ერთიან ეროვნულ იდენტობას. ამ მხრივ, ქართულმა დროშამ და ჰიმნმა შესაძლოა მაიდენტიფიცირებელი ელემენტების როლი შეასრულოს. ამ მიზნით, სწავლების პროცესში, რეკომენდებულია სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა-შეთავაზება, მაგალითად, თუნდაც, სასწავლო პროცესის დაწყებამდე საქართველოს ეროვნული ჰიმნის მოსმენა და საქართველოს ეროვნული დროშის სკოლის წინ საზეიმოდ აღმართვა, რისი პატივიც კვირის/თვის/სემესტრის მანძილზე სანიმუშო სწავლით გამორჩეულ მოსწავლეებს შეიძლება ერგოთ. მნიშვნელოვანია, რომ ამ პატივით ეთნიკური უმცირესობების, ან განსხვავებული აღმსარებლობის წარმომადგენელ მოსწავლეებიც აქტიურად წახალისდნენ.

ისტორიულ-კულტურული ფაქტორები ეროვნული და კულტურული იდენტობის ფორმირების პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ (**ჩხარტიშვილი მ.**, *2020)*. შესაბამისად, მნიშვნელოვანია შემუშავდეს მოსწავლეების ექსკურსიებისა და ღონისძიებების საერთო სასკოლო გეგმა, რომლის მიზანი იქნება საქართველოს ეროვნულ-კულტურული ღირებულებების და ფასეულობების კულტივირება ახალგაზრდების ცნობიერებაში. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის და მისი წარმოშობის სწავლება ხელს შეუწყობს ქართული ეროვნული იდენტობის ცნობიერების ჩამოყალიბებას ახალგაზრდა თაობაში. საგულისხმოა, რომ იდენტობა ყალიბდება სოციოკულტურული კონტექსტის შემადგენელი ყველა ელემენტის ურთიერთქმედების შედეგად. შესაბამისად, ასევე საჭიროა მოსწავლეებს განემარტოს, თუ როგორ ნარჩუნდება პიროვნების იდენტობა ცვალებად გარემოში. ზემოაღნიშნული ასპექტები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში იდენტობის შინაგანი ბაზისის შექმნას, რაც, თავის მხრივ, სხვადასხვა ტიპის სოციუმში საკუთარი მე-ს ნათლად გამოხატვის შესაძლებლობას მისცემს.

პიროვნება, ქცევა და გარემო, მათი ურთიერთდამოკიდებულება და გავლენა პიროვნების იდენტობის ფორმირების პროცესზე (ტრიადული ორმხრივი დეტერმინიზმი)

ამ თემის ფარგლებში რეკომენდებულია გაანალიზებულ იქნას თვითგამორკვევის ფაქტორები: ინდივიდუალური, სოციალური და კულტურული. ასევე განხილულ იქნას თანამედროვე ინფორმაციული ეპოქა, მისი გავლენა პიროვნების იდენტობის ფორმირების პროცესზე, თვითგამორკვევის დინამიკური ბუნება და მისი ტრანსფორმაცია. მასწავლებლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ იდენტობის ფორმირების პროცესზე. აღნიშნული თემის ფარგლებში აგრეთვე მნიშვნელოვანია იდენტობის ფორმირების პროცესთან რელიგიის კავშირის გაანალიზებაც *(ჯოჩალიძე, 2019).*

ვინ არის ქართველი და რა განსაზღვრავს ქართველი ერის უნიკალურობას?

აღნიშნული თემის ფარგლებში ყურადღება უნდა გამახვილდეს ქართული ენის, მწერლობის, ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ტრადიციებისა და გეოგრაფიული განსახლების არეალის, როგორც იდენტობის მაფორმირებელი ძირითადი ელემენტების, განხილვაზე. საგულისხმოა, რომ სოციალური იდენტობა, ანუ ინდივიდის სოციალურ ჯგუფთან კუთვნილებისა და სოციუმის სტრუქტურაში მისი პოზიციის განსაზღვრა, ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია. მასთან დაკავშირებული საკითხების სათანადოდ გააზრებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, ასევე ყურადღება დაეთმოს ქართული ტრადიციების და ადათ-

წესების, დროთა განმავლობაში მათი ტრანსფორმაციის მიზეზების და დღეს არსებული მდგომარეობის ანალიზს. სხვადასხვა ფორმატში შეთავაზებული დავალებებისა თუ აქტივობების გზით, მოსწავლეები უნდა გაეცნონ ქართული მწერლობის ადგილსა და მნიშვნელობას ქართველის, როგორც ინდივიდის სტაბილური იდენტობის ფორმირების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ მათ განუვითარდეთ ქართველების, როგორც წარმატებული ჯგუფის ასოციაცია, რაც ამ წარმატებულ ჯგუფთან, ანუ კოლექტიურ იდენტობასთან, მათი კუთვნილების განცდას და თვითშეფასების ამაღლებას შეუწყობს ხელს.

ასევე მნიშვნელოვანია ქართული ღირებულებების კონტექსტში ყურადღების გამახვილება ფოლკლორის, ქართული ხასიათის დადებითი ნიშნების, ოჯახისა და ნათესავების განსაკუთრებული მნიშვნელობის, ხელგაშლილობის, სტუმართმოყვარეობის, ყველა ტიპის სოციალურ გარემოსთან ადაპტაციის უნარის, გონებამახვილობის, ტოლერანტობის/შემწყნარებლობის, სამშობლოსათვის თავგანწირვის არსსა და ეროვნული იდენტობისათვის მათ მნიშვნელობაზე. საკითხის სათანადოდ გააზრებისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე უარყოფითი ნიშნების გამოკვეთა-ანალიზიც (მაგალითად, ფიცხი ბუნება). ზემოაღნიშნული თემის საფუძვლიანი გარჩევის შედეგად მოსწავლეები გაცილებით ადვილად გაიაზრებენ ეროვნული ღირებულებების კავშირ-მიმართებას ევროპულ ღირებულებებსა და ჰუმანიზმის პრინციპებთან, რაც გაუადვილებთ მათ ევროპული ცივილიზაციის სივრცეში საქართველოს ადგილის და როლის განსაზღვრასა და ჩვენი ქვეყნის წარმოდგენას ევროპული ოჯახის ნაწილად.

სწავლების რეკომენდებული მეთოდოლოგია

ქეისით სწავლება *(შემთხვევის ანალიზი)* მიზანშეწონილია პიროვნების, ქცევისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების გააზრების, პიროვნების იდენტობის ფორმირების პროცესზე ზემოქმედი ფაქტორების იდენტიფიცირების, ეროვნულ თუ კულტურულ იდენტობის გაცნობიერების ხელშეწყობის მიზნით. თემის სათანადოდ გააზრების მიზნით, რეკომენდებულია შემდეგი ტიპის ქეისების განხილვა: 1. ექვთიმე თაყაიშვილის გმირობა; 2. 1921 წელს იუნკრების ბრძოლა კოჯრის მისადგომებთან; 3. 2008 წლის ომი და გიორგი ანწუხელიძის გმირობა, და სხვ.

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენება რეკომენდებულია, მაგალითად, ტრადიციის, როგორც ეროვნული თუ კულტურული იდენტობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშნისა და მასთან დაკავშირებული გამოწვევების გააზრების მიზნით.

დავალებაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენებისას მასწავლებლის ამოცანაა განსახილველი საკვანძო საკითხების გააზრებისა და სწავლის მოსალოდნელი შედეგების მიღწევის ***ხელშემწყობი კონკრეტული დავალებების, მათი შესრულების მითითებების, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმების შემუშავება მოსწავლეთა მიერ*** ინდივიდუალურად ან/და მცირე ჯგუფებში შესრულების მიზნით.

პროექტით სწავლება რეკომენდებულია ეროვნული და კულტურული იდენტობის ფორმირების პროცესში ისტორიულ-კულტურული ფაქტორების გავლენის როლისა და მნიშვნელობის გაცნობიერების ხელშეწყობის მიზნით. შესაძლებელია მასწავლებელმა დავალებაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთან კომბინირების გზით შეიმუშაოს მითითებები მოსწავლეთა მიერ ინდივიდუალური ან/და ჯგუფური პროექტების მომზადება-წარმოდგენისათვის, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული და/ან კულტურული იდენტურობის მაფორმირებელი ფაქტორების (მაგალითად, ტრადიციული მუსიკისა თუ ცეკვის, ისტორიული მოვლენებისა თუ ძეგლების, ენისა თუ ლიტერატურული ნაწარმოებების ან სხვა) გააზრებას.

დისკუსიის მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას დამოუკიდებლად ან სხვა მეთოდთან კომბინაციაში ზემოაღნიშნული ნებისმიერი საკვანძო საკითხის განხილვისას.

კლასის ორგანიზების ფორმები: ინდივიდუალური სამუშაო, ჯგუფური სამუშაო.

შეფასების მეთოდი: რეკომენდებულია მასწავლებელმა ეროვნულ და კულტურულ იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით მოსწავლეთა ცოდნა-გაცნობიერების დონე და ხარისხი შეაფასოს დავალების (მოკლე ესეები) შესრულების, პროექტის (ინდივიდუალური და/ან ჯგუფური) მომზადება-წარდგენის აქტივობების შეფასების მიზნით შემუშავებული კრიტერიუმებით.

ზემოაღნიშნული თემატიკის სათანადოდ გააზრებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აგრეთვე **ექსტრაკურიკულური აქტივობები:** ვიზიტები მუზეუმებსა და ისტორიულ ადგილებში, სადაც ყველა მოსწავლეს შესაძლოა დაევალოს მოკლე პრეზენტაციის გაკეთება და კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღწერა.

რეკომენდებულია, ასევე, შემდეგი ტიპის **დამატებითი აქტივობების** განხორციელებაც: ტოლერანტობის კვირეულის ორგანიზება სკოლაში; დამეგობრება ქართულენოვან და არაქართულენოვან სკოლებს შორის; შეხვედრები ომის ვეტერანებთან, და სხვ.

მოსალოდნელი შედეგები

მოდულის ფარგლებში რეკომენდებული საკითხებისა და სასწავლო აქტივობების განხორციელების შედეგად მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ საქართველოს ეროვნული იდენტობა, მისი ისტორიული და კულტურული თავისებურებები; სწორად გაიაზრონ საქართველოს ადგილი თანამედროვე მსოფლიოში. მიღებული ცოდნის საფუძველზე მოსწავლეებმა უნდა მოახერხონ მრავალკულტურულ გარემოში სირთულეების გარეშე ადაპტირება და საკუთარი ეროვნულ-კულტურული იდენტობის შენარჩუნება.

გამოყენებული წყაროები:

1. *გამსახურდია ვლადიმერ (2016), ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.*
2. *ჩხარტიშვილი მარიამ (2020), ქართული ეროვნული იდენტობა: კვლევისათვის კვლევისათვის რელევანტური რელევანტური რელევანტური თეორიული მიდგომის შერჩევის საკითხი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.*
3. *კოჩალიძე ცისნამი (2019), პოლიტიკური სისტემა და ეროვნული იდენტობა. საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი.*
4. *პოლიტიკის დოკუმენტი, ევროპული ღირებულებების სწავლება საქართველოს სკოლებში, ევროპის უნივერსიტეტი, 2021.*
5. *საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის – ინტერკულტურული განათლება – პედაგოგიური მიდგომები, ავტორთა კოლექტივი, თბ,. 2015.*
6. *Phinney, J. S. (1992). The multigroup ethnic identity measure: A new scale for use with diverse*
7. *groups. Journal of adolescent research, 7(2), 156-176.*
8. *იდენტობა-განმარტება იხ. ლექსიკონ-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში* *http://dictionary.css.ge/content/identity*

მოდული 5.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, მშობლების, სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის გაძლიერება

შესავალი

სასკოლო განათლების ადმინისტრირების სფეროში ჩატარებული კვლევის შედეგები (ანდღულაძე, 2017), აგრეთვე პრაქტიკული გამოცდილების ანალიზი ადასტურებს, რომ სკოლის, მშობლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა არამხოლოდ ე.წ. „კრიმინალურ სუბკულტურასთან“ დაკავშირებულ პრობლემებსა თუ გამოწვევებთან გასამკლავებლად, არამედ მსგავსი ერთობლივი ძალისხმევა საჭიროა აგრეთვე სკოლის ცხოვრების სხვა ნებისმიერი ასპექტისთვის, მათ შორის, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფისა თუ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობისათვის.

სამიზნე ჯგუფი: დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები.

მოდულის მიზანი

მოდულის მიზანია მსმენელის ყურადღების კონცენტრირება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, მშობლების, სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის გაძლიერების არსსა და მნიშვნელობაზე; სკოლებში პოზიტიური სასწავლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად მიმართული ახალი ინიციატივების ინიციირების შესაძლებლობებზე; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, მშობლების და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებებსა და ერთიანი სკოლის პოლიტიკის შემუშავების წინაპირობებზე; კრიმინალური სუბკულტურის და ბულინგის შემცირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე.[4]

შემოთავაზებული მოდული ორიენტირებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, მშობლების, სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის ორგანიზების მექანიზმების (ერთიანი სკოლის მიდგომა), ბულინგთან და კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის მექანიზმების, კრიმინალური სუბკულტურისა და ბულინგის რისკფაქტორების გამოკვეთა-განხილვაზე, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ე.წ. „კრიმინალურ სუბკულტურასთან“ დაკავშირებული პრობლემების პრევენციას/გადაწყვეტას.

მოდულში რეკომენდაციის სახითაა შემოთავაზებული მოსალოდნელი შედეგები, რაც გარკვეულ ორიენტირს წარმოადგენს სასკოლო ცხოვრების პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეებისათვის.

4 კრიმინალური სუბკულტურის და ბულინგის შემცირების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებზე საუბრამდე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დავაზუსტოთ, თუ რა შინაარსს მოვიაზრებთ აღნიშნულ ტერმინებში: ბულინგი – ბულინგი არის არასასურველი, განმეორებითი ხასიათის აგრესიული ქცევა, რომელიც ხშირად არათანაბარი ძალებითაა გამოწვეული. ბულინგში ერთიანდება ქცევები, როგორებიცაა მუქარა, მცდარი ინფორმაციის გავრცელება, ვერბალური და ფიზიკური შეურაცხყოფა, აგრეთვე ჯგუფიდან ადამიანის გამიზნულად გარიყვა (Stopbullying.ge).

კრიმინალური სუბკულტურა – პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ე.წ. „ქურდული სამყაროს წეს-ჩვეულებების და ქცევის კოდექსის“ ერთობლიობა, რომლის მიმდევრებიც გამოირჩევიან ანტისაზოგადოებრივი ქცევით და კრიმინალური აზროვნებით (ავტ.).

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, მშობლების, სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის ორგანიზების მექანიზმები (ერთიანი სკოლის მიდგომა)

ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ერთიანი სკოლის მიდგომას აქვს ხარისხიანი განათლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, მშობლების, სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევის ერთიანობის მიღწევის დიდი პოტენციალი.

ერთიანი სკოლის მიდგომა მოიცავს უკეთეს ზედამხედველობას, ფიზიკური უსაფრთხოების ხარისხის გაზრდას მანდატურების ჩართულობით და უსაფრთხოების ზომების გაუმჯობესებას. მნიშვნელოვანია ასევე სოციალური განვითარების ასპექტების გათვალისწინება და ამ მიმართულებით კონფლიქტების გადაწყვეტის სპეციალური პროგრამისა და მეთოდების შემუშავება. აღსანიშნავია, რომ, ამ მხრივ, ყველა სკოლას, გამომდინარე მისი სოციალური და ეთნოკულტურული თავისებურებებიდან, შეიძლება საკუთარი სპეციფიკა ჰქონდეს. შესაბამისად, მიდგომის ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა ეს ფაქტორი.

ერთიანი სკოლის მიდგომის მთავარი პრინციპი მაქსიმალური ჩართულობის მიღწევაში მდგომარეობს, რაც იმას ნიშნავს, რომ სასკოლო ცხოვრების პროცესში ჩართული უნდა იყოს ყველა: დირექცია, მასწავლებლები, მანდატურები და, რაც მთავარია, თავად მოსწავლეები. ერთიანი სკოლის მთავარი კომპონენტებია:

1. ინიციატივის დაგეგმვა
2. სხვადასხვა მონაწილეების, მათ შორის, გარე ორგანიზაციების ჩართულობა
3. მოსწავლეების ჩართულობა
4. დისკუსიების გამართვა და პროგრამის საპილოტე ვერსიის შემუშავება
5. ერთიანი სკოლის პროგრამის დანერგვა
6. ერთიანი სკოლის პროგრამის შეფასება

ინიციატივის დაგეგმვის ეტაპზე აუცილებელია სკოლის შესაძლებლობების სწორად შეფასება. გასათვალისწინებელია, რომ რესურსის არარსებობამ შეიძლება პროგრამის მარცხი გამოიწვიოს, რამაც მომავალში მსგავსი ინიციატივების დანერგვას შეუქმნას სირთულეები.

ვიზიარებთ მკვლევართა ნაწილის *(Glazzard, Bostwick, 2018)* მოსაზრებას, რომ ერთიანი სკოლის მიდგომის შემუშავება პირობითად შეიძლება დაიყოს შემდეგ ოთხ ფაზად:

ფაზა 1. პრობლემის ჩარჩოში მოქცევა. ამ ეტაპზე უნდა გაეცეს პასუხი 5 კითხვას: ვინ? სად? რას? როდის? რატომ? ამ ეტაპზე სასურველია გამოკითხვების ჩატარება, მოსწავლეებთან ინდივიდუალურად გასაუბრება, სკოლაში ე.წ. „ცხელი წერტილების“ იდენტიფიკაცია და ბულინგის სავარაუდო მსხვერპლთა გამოვლენა.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ფაზაში ყურადღება გამახვილდეს ფაქტებისა და შეხედულებების ერთმანეთისგან განცალკევება-დაჯგუფებაზე. რის შემდგომაც აუცილებელია გამომწვევი მიზეზების სპეციფიკის შესწავლა. სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში კრიმინალური სუბკულტურის არსებობა და ბულინგი განსხვავებული მიზეზებით შეიძლება იყოს გამოწვეული. შესაბამისად, საჭიროა მათი იდენტიფიცირება. აუცილებელია ბულინგის მოწყვლად ჯგუფზე აქცენტის გაკეთება და რისკების შემცირება.

ფაზა 2. კრიმინალური სუბკულტურის და ბულინგის წინააღმდეგ ერთიანი პოლიტიკის შემუშავება. ამ პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია როგორც დირექციის და მასწავლებლების, ასევე მოსწავლეების ჩართულობაც. სწორედ მოსწავლეების ჩართულობა უზრუნველყოფს მათი მხრიდან კრიმინალური სუბკულტურის და ბულინგის წინააღმდეგ ერთიანი პოლიტიკის მხარდაჭერას და ხელშეწყობას მისი დანერგვის პროცესში.

ფაზა 3. კრიმინალური სუბკულტურის და ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის დანერგვა. ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა პოლიტიკის შემუშავებაში ზრდის მისი პატივისცემის და აღსრულების ალბათობას.

დამტკიცებულ პოლიტიკას უნდა გაეცნოს ყველა მოსწავლე, სკოლის დირექცია, მასწავლებლები და მშობლები. ამ გზით მოხდება საყოველთაო ჩართულობის უზრუნველყოფა და ცნობიერების ამაღლება კრიმინალური სუბკულტურის, ბულინგის არსებობისა და მისი პრევენციის მექანიზმების შესახებ. პოლიტიკის იმპლემენტაცია სხვადასხვა მეთოდით არის შესაძლებელი, მათ შორის, პრეზენტაციების მომზადებით, სასკოლო გაზეთების და ფლაერების დარიგების ჩათვლით.

რეკომენდებულია სკოლაში თეატრის ჩამოყალიბება, სადაც მსახიობების როლს მოსწავლეები შეასრულებენ. მნიშვნელოვანია, კრიმინალური სუბკულტურის და ბულინგის საკითხების წინა პლანზე წამოწევა თეატრალური დადგმების დროს. რეკომენდებულია სასკოლო დადგმები მიეძღვნას კრიმინალური მიდრეკილებების მქონე ინდივიდებსა და მათი ქცევის ნეგატიური შედეგების გამოკვეთას, ასევე ბულინგის მსხვერპლ მოსწავლეებსა და მათ განცდებზე რეფლექსიას. ეს მიდგომა დადებითი შედეგის მომტანი უნდა იყოს, რადგან მოსწავლეებს დააფიქრებს ბულინგის თანმდევ ეფექტსა და ემოციურ განცდებზე.

რეკომენდებულია სკოლებში სპეციალური აქტივობების შემუშავება ნაკლები ზედამხედველობის ქვეშ მყოფ სივრცეებში – მომზადებული მასწავლებლების, ან უფროსი ასაკის მოსწავლეების ჩართულობით. შესვენების დროს ამ აქტივობების დანერგვამ შეიძლება შეზღუდოს კრიმინალური ქმედებების გამოვლენისა და ბულინგის განხორციელების შესაძლებლობები. საკლასო შესვენებების დროის გამიჯვნა უზრუნველყოფს იმას, რომ მასწავლებლებს და მანდატურებს ნაკლები მოსწავლე ეყოლებათ ერთდროულად გასაკონტროლებელი, რაც გააადვილებს დერეფნების ზედამხედველობას და ბულინგის შემთხვევის შემჩნევას. ასევე რეკომენდებულია მაღალი რისკის ზონებში ზედამხედველობის გაზრდა, რაც შეამცირებს მოსწავლეების დაშინების შესაძლებლობას. რისკის ზონების იდენტიფიცირება შესაძლებელია სკოლის გარემოს რეკოგნოსცირებით.

ფაზა 4. კრიმინალური სუბკულტურის და ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის შეფასება. რეკომენდებულია აღნიშნული პოლიტიკის მუდმივად შეფასება და საჭიროებისამებრ დახვეწა. სკოლის გარემო მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის, შესაბამისად, კრიმინალური სუბკულტურის და ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკაც უნდა ადაპტირდეს და დაიხვეწოს.

ბულინგთან და კრიმინალურ სუბკულტურასთან ბრძოლის მექანიზმები

ბულინგის ინციდენტების განხილვისას დღემდე ხშირად გამოყენებადი მიდგომაა ინდივიდებთან ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, ვინც აბულინგებს (მჩაგვრელის) და ვინც მათ მსხვერპლს წარმოადგენს (ჩაგრულის). ეს მიდგომა ითვალისწინებს კომუნიკაციას უშუალოდ ბულინგის ინციდენტში მონაწილე ძირითად პირებთან, თუმცაღა, უგულებელყოფს გარემოფაქტორებს, როგორებიცაა სკოლის კულტურა, თანატოლებისა და უბრალოდ ინციდენტის შემსწრეთა გავლენა და ოჯახის დინამიკა, რამაც შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს ბულინგის კრიმინალური გარჩევის ინციდენტებზე. ერთიანი სკოლის მიდგომის ფარგლებში, ფოკუსირება ხდება სკოლის სრულ შემადგენლობაზე და ყოვლისმომცველი სტრატეგია უზრუნველყოფს პოზიტიური გარემოს დამკვიდრებას *(UNESCO Associated schools, 2017).* მოსწავლეების ჩართულობა მნიშვნელოვანია ბულინგის წინააღმდეგ მიმართულ აქტივობებში. ამგვარი აქტივობები შესაძლებელია იყოს სხვადასხვა სახის: მოკლე სპექტაკლები, როლური თამაშები, პრეზენტაციები, კონფერენციები, კინოჩვენებები, თამაშები, ტურები და ა.შ. მნიშვნელოვანია თანაბარი შესაძლებლობებისა და პირობების შექმნა და ყველა მათგანის ჩართულობის ხელშეწყობა განურჩევლად უნარების, სოციალური, ეთნიკური თუ სხვა ნიშნით განსხვავებებისა, აგრეთვე თითოეული მათგანის განსხვავებულობის და უნიკალურობის პოზიტიური წარმოჩენის ხელშეწყობა. კრიმინალური სუბკულტურის, ბულინგის ან ძალადობის პრობლემის წარმოჩენისას, მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა სწორად დაინახონ და გააცნობიერონ საკუთარი როლი და თითოეული მათგანის ინდი-

ვიდუალური პასუხისმგებლობა ნეგატიური რეალობის შეცვლაში; გაიაზრონ და ირწმუნონ, რომ თითოეული მათგანის მიერ შეტანილ წვლილს დიდი ცვლილებების მოხდენა შეუძლია და უშუალოდ მათ ხელშია ის უზარმაზარი ძალა, რომელსაც, სწორად წარმართვის შემთხვევაში, ყველაფრის დადებითად შეცვლა შეუძლია.

კრიმინალური სუბკულტურის და ბულინგის რისკფაქტორები

ბულინგის მიზეზების ზუსტი განსაზღვრა და მათი სრული პრევენცია თითქმის შეუძლებელია *(Counsil of Europe, 2017)*. თუმცა, არსებობს ზოგადი ფაქტორები, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ დამცავ მექანიზმებად ან რისკფაქტორებად. სოციალური, კულტურული ან ეკონომიკური ფაქტორი შესაძლოა გახდეს ინდივიდის ქცევის საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ ეს ფაქტორები პოზიტიურია, ეს შეიძლება გახდეს დამცავი მექანიზმი და, პირიქით, ნეგატიურის შემთხვევაში იყოს რისკფაქტორი. ასე, მაგალითად, ეკონომიკური კეთილდღეობის შემთხვევაში საზოგადოებაში იქმნება პოზიტიური გარემო, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს რისკებს, ხოლო სიდუხჭირემ და უთანასწორობამ შესაძლოა ბიძგი მისცეს ბულინგს და კრიმინალური სუბკულტურის გავრცელებას.

წლების განმავლობაში არსებობდა მოსაზრება, რომ ბავშვის ქცევას განსაზღვრავს ოჯახი, ბოლო დროის კვლევების თანახმად კი, საუბარია სწორედ სკოლის როლზე და მნიშვნელობაზე, რომელიც არანაკლებ გავლენას ახდენს მოზარდის ჩამოყალიბებასა და ქცევაზე. ამ ასაკში სკოლა ერთ-ერთი (ზოგ შემთხვევაში, ერთადერთიც კი) მნიშვნელოვანი სოციალური სივრცეა, სადაც ბავშვს უწევს ურთიერთობა და თავის დამკვიდრება როგორც თანატოლებთან, ისე უფროსებთან, რადგანაც მოზარდობის პერიოდში ბავშვი, ფაქტობრივად, იქ ატარებს აქტიური ცხოვრების უმეტეს ნაწილს. ის გარემო და დამოკიდებულებები, რომლებიც თითოეულ ბავშვს ხვდება სკოლაში, განსაზღვრავს მათ ქცევას და არც თუ იშვიათად მათი გაორების მიზეზი ხდება. შესაძლებელია ბავშვი სახლში იქცევა იდეალურად, სკოლაში კი – რადიკალურად განსხვავებულად, რაც შემდგომში იწვევს გაუგებარ დამოკიდებულებებს მშობლებსა და მასწავლებლებს შორის. ერთი მხრივ, შესაძლოა ბავშვი სახლში მშვიდად იქცეოდეს, რადგან თავს დაცულად გრძნობს და დარწმუნებულია, რომ რაღაც ერთი მთლიანობის (ამ შემთხვევაში – ოჯახის) ნაწილია, სწორედ ამიტომ რაც არ უნდა მოხდეს, არავინ დასცინებს და გარიყავს მას ამ ერთიანობიდან. სწორედ ასეთი გარემოს შექმნაა საჭირო სკოლებშიც, ეს კი შეუძლებელია მშობლების ჩართულობის გარეშე. ამრიგად, მიზანშეწონილია გამოიკვეთოს სკოლის ასაკის მოზარდების ქცევის განმსაზღვრელი 2 მნიშვნელოვანი ფაქტორი: ოჯახი და სკოლა. თუ გვსურს, ყველა ბავშვს შევუქმნათ თანასწორი უსაფრთხო გარემო, უპირველესად უნდა შევქმნათ გარემო, რომელშიც მშობლები და მასწავლებლები ერთნაირად იქნებიან მოწოდებულები, რომ ყველა ბავშვი დაცულად და კომფორტულად გრძნობდეს თავს. ზრდასრულმა ადამიანებმა ვიცით, რომ შეცდომას ყველა უშვებს და ამის გამო მას, როგორც ოჯახის წევრს, კი არ ვრიყავთ, არამედ, პირიქით, მხარში ამოვუდგებით და ვეხმარებით. ანალოგიური გარემო უნდა დამკვიდრდეს სკოლაშიც, რომ მოსწავლეები გრძნობდნენ როგორც ერთმანეთის, ისე მასწავლებლის გვერდში დგომას. უნდა დამკვიდრდეს ტენდენცია, რომლის მიხედვითაც დაცინვა და ბულინგი იქნება შეცდომა, თუმცა ვინც ამ შეცდომას დაუშვებს, მასაც ასევე მხარში დაუდგებიან მასწავლებლებიც და მშობლებიც, ასწავლიან შეცდომის აღიარებას და ბოდიშის მოხდას, რაც არც თუ იშვიათად თვით ზრდასრულ ადამიანებსაც კი საკმაოდ უჭირთ სწორედ იმიტომ, რომ ამის სწავლებას ბავშვობაში ნაკლები დრო ეთმობოდა იმ კონკურენტულ გარემოში, სადაც ბავშვი ორიენტირებული იყო გადარჩენაზე და თავის მართლებაზე, რადგანაც დასჯის ეშინოდა. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმის გააზრებაზე, რომ სწორედ ამ დროსაა მნიშვნელოვანი ხელის შეშველება და თანადგომა, რათა მოსწავლეებში დამკვიდრდეს დამოკიდებულება, რომ „შეცდომა შეიძლება ნებისმიერმა დაუშვას, მაგრამ აღიარების უნარი და გულწრფელი სინანული ადამიანის ღირსების მაჩვენებელია

და ერთიორად აამაღლებს მას, სწორედ ამიტომ დანაშაულის აღიარება კი არ ისჯება, არამედ წახალისდება“. ახალგაზრდებში ამგვარი დამოკიდებულების დამკვიდრება მიიღწევა მათში ემპათიის გაზრდით, ემოციის მართვის სწავლებითა და ემოციური ინტელექტის განვითარების გზით.

სწავლების რეკომენდებული მეთოდოლოგია

ქეისით სწავლების *(შემთხვევის ანალიზი)* **და პრობლემაზე დაფუძნებული მეთოდების** გამოყენება მიზანშეწონილია პიროვნების ქცევაზე კრიმინალური სუბკულტურის გავლენისა და ბულინგის თანმდევი შედეგების გააზრების, მოძალადისა თუ მსხვერპლის ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე რეფლექსიის მიზნით.

დავალებაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენებისას მასწავლებლის ამოცანაა განსახილველი საკვანძო საკითხების უკეთ გააზრებისათვის კონკრეტული დავალებებისა და მათი შესრულების მითითებების, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმების შემუშავება მოსწავლეთა მიერ დავალების ინდივიდუალურად ან/და მცირე ჯგუფებში შესრულების მიზნით.

პროექტით სწავლება რეკომენდებულია ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის შემუშავებისა და ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების უნარ-ჩვევათა განვითარების ხელშეწყობის მიზნით. რეკომენდებულია, მასწავლებელმა დავალებაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთან კომბინირებით შეიმუშაოს მითითებები მოსწავლეთა მიერ ინდივიდუალური ან/და ჯგუფური პროექტების მომზადება-წარმოდგენისათვის, რაც ხელს შეუწყობს განსახილველი საკითხების სათანადოდ გააზრებას.

დისკუსიის მეთოდი შეიძლება გამოყენებული იქნას დამოუკიდებლად ან სხვა მეთოდთან კომბინაციაში ზემოაღნიშნული ნებისმიერი საკვანძო საკითხის განხილვისას.

კლასის ორგანიზების ფორმები: ინდივიდუალური სამუშაო, ჯგუფური სამუშაო.

შეფასების მეთოდი: რეკომენდებულია მასწავლებელმა კრიმინალური სუბკულტურისა და ბულინგის არსისა თუ შედეგების გააზრებასთან დაკავშირებით მოსწავლეთა ცოდნა-გაცნობიერების დონე და ხარისხი შეაფასოს დავალების (მოკლე ესეები) შესრულების, პროექტის (ინდივიდუალური და.ან ჯგუფური) მომზადება-წარდგენის აქტივობების შეფასების მიზნით შემუშავებული კრიტერიუმებით.

ზემოაღნიშნული თემატიკის სათანადოდ გააზრებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აგრეთვე **დამატებითი აქტივობების** განხორციელება, მათ შორის, სკოლაში ბულინგისა და კრიმინალური სუბკულტურის თანმდევი შედეგების წარმოჩენაზე ორიენტირებული სპექტაკლების ორგანიზება; სკოლებში კრიმინალური სუბკულტურისა და ბულინგის პრევენციის/აღმოფხვრის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენციების ორგანიზება; აგრეთვე, ბულინგის წინააღმდეგ პოლიტიკის და/ან გასატარებელი ღონისძიებების შემუშავების მიზნით შეხვედრების ორგანიზება და სხვ.

მოსალოდნელი შედეგები

მოდულის ფარგლებში რეკომენდებული საკითხების განხილვა-გააზრება, ასევე შემოთავაზებული აქტივობების განხორციელება ხელს შეუწყობს სკოლებში პოზიტიური სასწავლო გარემოს, თუნდაც, წინაპირობების შექმნას; ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების, მშობლებისა და სამოქალაქო საზოგადოების ერთიანი ძალისხმევის კოორდინაციას; კრიმინალური სუბკულტურისა და ბულინგის აღმკვეთი/შესამცირებელი ღონისძიებებისა და მექანიზმების შესახებ ცნობადობის ამაღლებას.

გამოყენებული წყაროები:

1. *Glazzard Jonathan, Bostwick Rachel (2018), The Whole school approach. Critical publishing*
2. *UNESCO Associated schools (2017) Implementing the Whole-School Approach under the Global Action Programme on Education for Sustainable Development*
3. *Counsil of Europe (2017). Competences for Democratic Culture (CDC) and the Whole-School Approach*
4. *ანდღულაძე ნ., სასკოლო სისტემის მართვის დივერსიფიცირება: თეორია და პრაქტიკა, კვლევა /კოალიცია: განათლება ყველასათვის – საქართველო, 2017*

მოდული 6.
სასკოლო კულტურის განვითარება

შესავალი

თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი ცოდნა-უნარებით აღჭურვილ, ევროპულ ღირებულებებზე ორიენტირებულ და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით გამსჭვალულ პიროვნებად ბავშვის ფორმირებაში კრიტიკული როლი აკისრია სკოლას, როგორც სივრცეს, სადაც მოსწავლის ცოდნისა და კოგნიტიური უნარების განვითარების კვალად ხდება ღირებულებებთან მისი ზიარება და ქცევითი მოდელ(ებ)ის ფორმირება. სწორედ ამიტომ სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება, სასკოლო ცხოვრების ინკლუზიურობის ხარისხის ზრდა, ქვეყნის მასშტაბითა თუ ევროპის ქვეყნების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, აგრეთვე, სამოქალაქო საზოგადოებასთან სკოლების თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სასკოლო კულტურის განვითარებისათვის.

სამიზნე ჯგუფი: დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები.

მოდულის მიზანი

მოდულის მიზანია მსმენელს გააცნოს სკოლებში პოზიტიური და ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად საჭირო ღონისძიებები; ხელი შეუწყოს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას.

მოდულის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება შემდეგი საკვანძო საკითხების განხილვაზე: სკოლის კულტურა და გარემო; კრიტიკული აზროვნება.

სკოლის კულტურა და გარემო

სკოლის კულტურის და პოზიტიური სასწავლო გარემოს[5] შექმნაში უმნიშვნელოვანესია მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასწავლო პროცესში. კარგი ქცევის წახალისებას ხელს შეუწყობს სპეციალური ღონისძიებების შემუშავება, მაგალითად, მაღალი მოსწრების მქონე მოსწავლეების სიგელებით ან მედალიონებით დაჯილდოება საზეიმო ღონისძიების ფარგლებში. ასევე პოზიტიური შედეგის მომტანი იქნება სკოლაში მოსწავლეებისათვის სახალისო ტრადიციების შემუშავება. სასურველია, ყველა სკოლაში შემუშავდეს მოსწავლეთა ქცევის წესები, რომლებიც იქნება არა უბრალოდ ამკრძალავი ხასიათის, არამედ მათში ნათლად იქნება აღწერილი, თუ რატომ არის კონკრეტული წესი ან ნორმა მნიშვნელოვანი და რა დადებითი შედეგი მოაქვს მას. სკოლებში დისციპლინის მოწესრიგებისათვის შესაძლებელია ყველა მოსწავლეს წლის დასაწყისში მიეცეს ბონუსქულა (მაგალითად, 100 ქულა), ამასთან, შემუშავდეს დისციპლინის დარღვევისათვის ამ ქულების გამოკლების წესი. პოზიტიური ქცევის განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანია სანიმუშო დისციპლინის მქონე მოსწავლეების წახალისება სასწავლო წლის დასასრულს.

სასურველი შედეგის მომტანი იქნება სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის, თუნდაც, არაფორმალური სახით ჩამოყალიბება, რაც ხელს შეუწყობს ინკლუზიური გარემოს და ტო-

5 სასკოლო კულტურა – მრწამსის, ღირებულებებისა და ქცევის წესების ერთობლიობა, რომელთა მიხედვითაც ფუნქციონირებს სკოლა (ავტ.).

ლერანტულობის იმპლემენტაციას, ამასთანავე, იქნება სახალისოც და შემეცნებითიც. მოსწავლეების თვითმმართველობამ შესაძლებელია ორგანიზება გაუკეთოს სკოლაში დანერგილი ღირებულებების პოპულარიზაციას და გავრცელებას, როგორც სოციალური ქსელების საშუალებით, ასევე სასკოლო გაზეთის გამოცემითაც.

სასკოლო კულტურის დამკვიდრება-განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ასევე მნიშვნელოვანია, სპორტული აქტივობების დაგეგმვის დროს გენდერის საკითხების გათვალისწინება, რაც გულისხმობს ვაჟებისა და გოგონებისათვის თანაბარი პირობების ორგანიზებას. ამ მხრივ, სკოლამ უნდა განსაზღვროს სპორტულ აქტივობებში გოგონებისა და ვაჟების მონაწილეობის წესები და შესაბამისად დაგეგმოს ტურნირები წამახალისებელი პრიზებით.

ზოგიერთ კლასში თავისუფალი გარემოს შექმნა და სხვ. სკოლაში ინკლუზიური და პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებაზე დადებით გავლენას მოახდენს ასევე საკლასო სივრცეში ინოვაციური მიდგომებისა თუ თამაშზე დაფუძნებული სწავლების გამოყენება.

კრიტიკული აზროვნება

კრიტიკული აზროვნება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმადგენს. აღნიშნული უნარის განვითარება მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას – სწორად გააანალიზონ ფაქტები, კრიტიკულად განიხილონ მოსაზრებები, დასვან სწორი შეკითხვები და მოიძიონ მათზე პასუხები, შეძლონ არგუმენტირებულად მსჯელობა და საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება. აღნიშნულის მისაღწევად მნიშვნელოვანია მოსწავლეები გაეცნონ კრიტიკული აზროვნების სტილს, სტანდარტებსა და ბარიერებს. მოსწავლეებმა უნდა გაიაზრონ აზროვნების ტიპები და კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანების დამახასიათებელი თვისებები, შეძლონ ლოგიკური არგუმენტების წარდგენა და საკითხების დედუქციურად, ინდუქციურად და დიალექტურად განხილვა და ტიპური პრობლემების გადაჭრა ლოგიკური გზით.

კრიტიკული აზროვნება, როგორც მიზნობრივი და თვითრეგულირებადი მსჯელობა, წარმოადგენს კონტექსტური, მეთოდოლოგიური, თვალნათლივი, კონცეპტუალური მსჯელობის ინტერპრეტაციას და ანალიზს, რაზეც ლოგიკური მსჯელობა არის დაფუძნებული *(Facione, 2011)*. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების ერთმანეთისგან გარჩევა. კრიტიკული აზროვნება არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც კარგი აზროვნების სინონიმი. კრიტიკულად იდეალური მოაზროვნე არის ცნობისმოყვარე, კარგად ინფორმირებული, მოქნილი, შეფასებაში ობიექტური და მუდმივად მიისწრაფვის ხელახლა გადახედოს და გაარკვიოს პრობლემები. მნიშვნელოვანია, მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ კრიტიკული აზროვნება წარმოადგენს ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის ანალიზის საფუძველს და იცოდნენ კრიტიკული აზროვნების ბარიერები (მაგ. ეგოცენტრიზმი, სოციოცენტრიზმი, კონფორმიზმი და ა.შ.). მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ კითხვების სწორად დასმა, ინფორმაციის მოძიების და კრიტიკულად გაანალიზების მეთოდები.

სწავლების რეკომენდებული მეთოდოლოგია

პროექტით სწავლება – მიზანშეწონილია, მაგალითად, სასკოლო კულტურის განვითარების ხელშემწყობი აქტივობების/ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების ან/და სასკოლო ცხოვრების ინკლუზიურობის ხარისხის ამაღლების თაობაზე საპროექტო წინადადებების მომზადება-წარდგენის, უნარ-ჩვევათა განვითარების მიზნით.

შემთხვევის ანალიზი და **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება** – მიზანშეწონილია, მაგალითად, სასკოლო კულტურის დამკვიდრება-გან-

ვითარების პროცესში თანაბარი ჩართულობის შესახებ საკითხების განხილვისას ან/და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევათა განვითარების ხელშეწყობისათვის.

დავალებაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდის გამოყენებისას მასწავლებლის ამოცანაა განსახილველი საკვანძო საკითხების უკეთ გააზრებისათვის კონკრეტული დავალებებისა და მათი შესრულების მითითებების, აგრეთვე შეფასების კრიტერიუმების შემუშავება მოსწავლეთა მიერ დავალების ინდივიდუალურად ან/და მცირე ჯგუფებში შესრულების მიზნით.

დისკუსია – მიზანშეწონილია ნებისმიერი საკვანძო საკითხის განხილვისას.

დამატებითი აქტივობები: სასკოლო გაზეთსა და სოციალურ ქსელში სკოლის შიდა პოლიტიკის პოპულარიზაცია. სკოლის თვითმმართველობის ჩამოყალიბება და მასში აქტიურად მონაწილეობა. თანამედროვე ხელოვანების გაცნობითი დღეები. გაცნობითი ხასიათის ვიზიტები სხვადასხვა ორგანიზაციებში. ქველმოქმედება.

შეფასების მეთოდი: რეკომენდებულია მასწავლებელმა სასკოლო კულტურის განვითარებასა და კრიტიკულ აზროვნებასთან დაკავშირებული საკითხების გააზრებასთან მიმართებით მოსწავლეთა ცოდნა-გაცნობიერების დონე და ხარისხი შეაფასოს **დავალების (**მოკლე ესეები) შესრულების, პროექტის (ინდივიდუალური და/ან ჯგუფური) მომზადება-წარდგენის აქტივობების შეფასების მიზნით შემუშავებული კრიტერიუმებით.

მოსალოდნელი შედეგი

მოდულის ფარგლებში რეკომენდებული საკითხების განხილვა-გააზრება, ასევე შემოთავაზებული აქტივობების განხორციელება ხელს შეუწყობს სკოლებში პოზიტიური გარემოს შექმნას, სწორი პოლიტიკისა და სამოქმედო პროცედურების შემუშავებას; უზრუნველყოფს ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებასა და ტოლერანტობას ყველა სოციალურ და ეთნიკურ ჯგუფს შორის.

გამოყენებული წყაროები:

1. *Administrators' quick guide (2014). Build positive school culture now*
2. *Lewis Jennifer Asberry, Jacqueline, DeJarnett Gregory, Dr. King. Gwendolyn (2015). The Best Practices for Shaping School Culture for Instructional Leaders. Alabama State University*
3. *Bustos Ruth Claire (2021). Revisiting school culture: the school's role in the improvement of the socio-emotional skills of children during Covid-19 pandemic. University of Santo Tomas, Graduate School, Mayfield Montessori AcademyManila, Philippines*
4. *Facione, P. A. (2011). Critical thinking: What it is and why it counts. Insight assessment, 2007(1), 1-23*
5. *ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა – 2018-2024, ხელმისაწვდომია: https://www.mes.gov.ge/content.php?id=3929*

მოდული 7.
შეფასების სისტემის რეფორმა

შესავალი

ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისა და ევროინტეგრაციის პირობებში, თანამედროვე სასკოლო განათლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ ამოცანად განისაზღვრა ახალი სკოლის მოდელის დანერგვა, რომლის არსია სწავლება-სწავლის უზრუნველყოფა კომპეტენციაზე დაფუძნებული კურიკულუმის მეშვეობით. ზოგადი განმარტებით, კომპეტენციაზე დაფუძნებული კურიკულუმი გულისხმობს ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებას, თანამშრომლობითი კულტურის განვითარებას და პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობის პირობებში გუნდურ მუშაობას (MoES, 2019).

კომპეტენციაზე დაფუძნებული კურიკულუმის შექმნის აუცილებლობა განპირობებულია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებით, რომელიც საჭიროებს არა ოდენ საგნობრივი ცოდნა-უნარების მქონე ინდივიდებს, არამედ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე, ინტერპერსონალური უნარების მქონე, ინიციატივიანი და პასუხისმგებლობიანი მოქალაქეების აღზრდას, რომელნიც საერთო ღირებულებებისა და ეთიკური პრინციპების დაცვით შეძლებენ ცვალებადი გარემოდან მომდინარე გამოწვევებთან გამკლავებასა და მრავალფეროვან გარემოში წარმატებით ადაპტირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, თანამედროვე სკოლის უმთავრესი ამოცანაა – მოსწავლეები უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების მიწოდებით, ამასთან, ხელი შეუწყოს მათ ჩამოყალიბებას დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ, ტოლერანტულ და პასუხისმგებლობიან მოქალაქეებად.

მართებულია შევნიშნოთ ისიც, რომ 2018-2024 წწ. ეროვნულ სასწავლო გეგმაში (NCP, 2018), საგნობრივი კომპეტენციების კვალად, გაწერილია გამჭოლი უნარები და ღირებულებები (პრობლემის გადაჭრა, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, ინიციატივიანობა, პასუხისმგებლობა, და სხვ.). ესგ-ს თანახმად, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სხვადასხვა საგნის ფორმატში გაიცნონ და გაითავისონ საერთო ევროპული ღირებულებები (ინკლუზიურობა, ტოლერანტობა, კულტურათაშორისი დიალოგი, დემოკრატია, თანასწორობა). თუმცაღა, მოსწავლეთა ღირებულებითი კომპეტენციების შესწავლამ გამოავლინა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ცვლილებებია განსახორციელებელი, მათ შორის, სკოლებში დამკვიდრებულ შეფასების სისტემაში. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დეკლარირების მიუხედავად, მოსწავლეთა შეფასების პროცესი მიმართულია მათი ცოდნის შეფასებაზე უპირატესად ნასწავლის შინაარსის გადმოცემის ნაწილში და მხედველობაში არ იღებს ქცევით ასპექტებს. შესაბამისად, მოქმედი შეფასების სისტემა არ/ვერ ადასტურებს მოსწავლის კომპეტენციას ღირებულებათა მიმღებლობის, დამოკიდებულებების დემონსტრირების, სათანადო ქცევის გამოვლენის მხრივ. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, სასკოლო განათლების სივრცეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების სისტემის დანერგვა-განვითარება.

სამიზნე ჯგუფი: მასწავლებლები.

მოდულის მიზანი

მოდულის მიზანია მსმენელს გააცნოს კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების ძირითადი პრინციპები; გაუფართოოს თვალსაწიერი აფექტურ სფეროში ცოდნა-უნარების შეფასების თავისებურებებზე; სტუდენტზე ორიენტირებული შეფასების ეფექტურ მეთოდებზე და მათი გამოყენების პირობებზე.

მოდულის ფარგლებში შეთავაზებული მეთოდები სხვადასხვა საგანთან შეიძლება ადაპტირდეს, რაც სასწავლო მიზნებისათვის შექმნილი დავალებების, შეფასების ინსტრუმენტების, შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების შექმნას გულისხმობს.

კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება

კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების მახასიათებელთა გამოკვეთამდე, მნიშვნელოვანია კომპეტენციის არსის დაზუსტება. ზოგადად, კომპეტენცია განიხილება როგორც ცოდნის, უნარების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების დინამიკური კომბინაცია. სწორედ ამიტომ შემეცნების კოგნიტიური სფეროს კვალად, არანაკლებ მნიშვნელოვანია აფექტური (ემოციურ-ღირებულებითი) სფეროც (დამოკიდებულება, გრძნობები, ღირებულებები) (Bloom et al.,1964), რომელიც შეეხება სწავლის ემოციურ კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებს და ვარირებს ინფორმაციის მიღების საბაზო მზაობიდან რწმენის, იდეებისა და დამოკიდებულებების გათავისებამდე.

მაშასადამე, კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება გულისხმობს მოსწავლის ცოდნა-უნარების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების ერთიანობაში შეფასებას. თუმცაღა, სწავლების პროცესში მოსწავლის შეფასება მხოლოდ გამოვლენილი ცოდნისა და დავალებების შესრულებისათვის მისი გამოყენების შესაძლებლობის ჭრილში ხდება.

შემეცნებისას ემოციური ფონის აღსაწერად განათლების მიზნების ტაქსონომიაში (Bloom et al.,1964) გამოიყოფა 5 ძირითადი კატეგორია:

1. მიღება – უკავშირდება ინფორმაციის მისაღებად მზაობას (მაგ., უსმენს სხვებს პატივისცემით, სოციალური პრობლემებისადმი ამჟღავნებს სენსიტიურობას და ა.შ.).

2. რეაგირება – შეეხება ინდივიდის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში (მაგ., ამჟღავნებს ინტერესს საგნისადმი, მონაწილეობს სასწავლო დისკუსიებში, მზადაა გააკეთოს პრეზენტაცია, სიამოვნებით ეხმარება სხვებს და ა.შ.).

3. ღირებულების გააზრება – ვარირებს ღირებულების მარტივი აღიარებიდან მისდამი ერთგულებამდე (მაგ., ინდივიდი გამოხატავს რწმენას დემოკრატიული ღირებულებებისადმი, აფასებს ხელისუფლების გადაწყვეტილებების გავლენას მოსახლეობის კეთილდღეობაზე, სენსიტიურია სხვათა ინდივიდუალური თუ კულტურული განსხვავებებისადმი და ა.შ.).

4. ღირებულებათა სისტემის ორგანიზება – შეეხება იმ პროცესს, როდესაც ინდივიდი ერთად უყრის თავს სხვადასხვა ღირებულებას, წყვეტს მათ შორის არსებულ პრობლემებს და იწყებს ღირებულებათა გათავისებას (მაგ., აღიარებს ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის დემოკრატიის პირობებში; იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ საქციელზე; ახდენს თავისი ქცევის ადაპტირებას ღირებულებათა სისტემასთან და ა.შ.).

5. ღირებულებათა სისტემის გათავისება – ამ დონეზე ინდივიდს აქვს რწმენაზე, იდეებსა და დამოკიდებულებებზე დაფუძნებული ღირებულებათა სისტემა, რაც მისი თანამიმდევრული და პროგნოზირებადი ქცევის განმსაზღვრელია (მაგ., ეთიკური დილემების გადაწყვეტისას მოქალაქეობრივი და/ან პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების წარმოჩენა; პერსონალური, სოციალური და ემოციური მოწესრიგებულობის გამოვლენა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვა და ა.შ.).

მაშასადამე, აფექტური სფეროს ტაქსონომია მოიცავს გარესამყაროს მოვლენებისადმი ემოციურ-პიროვნული დამოკიდებულებების ფორმირების მიზნებს, რომელთა მიღწევისა და კომპეტენციის დადასტურებისათვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია მოსწავლის შეფასება საგნების, პროცესებისა თუ ღირებულებებისადმი დამოკიდებულებების, გამოვლენილი ქცევისა თუ პასუხისმგებლობის, მიღებული გადაწყვეტილებების, ჩამოყალიბებული ხედვის/მოსაზრების მიხედვით, რაც საკმაოდ რთულია – განსაკუთრებით განმსაზღვრელი შეფასების დროს.

შეფასების გამოყენება მნიშვნელოვანია არამხოლოდ ათვისებული ცოდნის დონის განსასაზღვრად ან/და სტანდარტებისადმი შესაბამისობის დასადგენად, არამედ, პირველ ყოვლისა, სწავლის პროცესის ხელშეწყობისათვის, რაც გულისხმობს სწავლის პროცესში მოსწავლის ჩართულობის, ადეკვატური თვითშეფასებისა და სწავლის სუბიექტად მისი ფორმირების უზრუნველყოფას. მკვლევართა ერთი ნაწილის მოსაზრებით (Black, P & Wiliam, D. 1998), განმავითარებელი შეფასება შეიძლება განვიხილოთ, როგორც ცოდნის ამაღლების ხელშემწყობი ფაქტორი, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, დროულად მოვახდინოთ რეაგირება მოსწავლის მიერ გამოვლენილი ცოდნისა თუ ქცევის ცვლილებებზე; ის თავისი არსით კონსტრუქციულია, ზრდის მოსწავლეთა მოტივირებას, ეხმარება მათ საკუთარი თავისა თუ სხვისი ადეკვატური შეფასების უნარის ფორმირებაში, შესაძლებელს ხდის მოსწავლის წარმატების დაფიქსირებას. მაშასადამე, განმავითარებელი შეფასების პროცესში შეგროვილი მონაცემები იძლევა ინფორმაციას მოსწავლის მიერ არასწორი თუ სწორი აღქმების, ძლიერი და სუსტი მხარეების, ცოდნაში არსებული გარღვევებისა თუ განვითარების / პროგრესის შესახებ; ადგენს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებასა და სასურველი ქცევის მოდელირების ხელშეწყობაზე, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ღირებულებების გააზრება-გათავისებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება-განმტკიცებისათვის (Trumbull and Lash, 2013).

განმსაზღვრელი შეფასება – ადგენს მოსწავლის მიღწევის დონეს სასწავლო მიზანთან მიმართებით; გვაძლევს სწავლების პროცესში გამოყენებული ინსტრუმენტებისა და სასწავლო გეგმის დიზაინის ეფექტურობის გააზრების საშუალებას; გამოიყენება ე.წ. „მონაცემების შეგროვებისათვის“, რომლის საშუალებითაც უნდა გაიზომოს სწავლის, ცოდნის და/ან უნარების განვითარების დინამიკა კონკრეტული საკითხის, საკითხთა ერთობლიობის და/ან საგნის დონეზე.

მოსწავლეზე ორიენტირებული, კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასების პროცესში კრიტიკულად მნიშვნელოვანია შეფასების იმგვარი მეთოდების შერჩევა, რომლებიც რელევანტური და ვალიდურია მოსწავლის მიღწევების „გაზომვის“ და გამოვლენილი ცოდნა-უნარების, დამოკიდებულებისა და/ან ქცევის შესაფასებლად.

მოსწავლეზე ორიენტირებული შეფასების ეფექტური მეთოდები

კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლების გამოცდილების ანალიზი წარმოაჩენს, რომ მოსწავლის ცოდნა-უნარების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების ერთიანობაში შესაფასებლად ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია **პრობლემაზე დაფუძნებული შეფასება** *(Problem Based Assessment-PBA)*. ზოგადად, ეს მეთოდი ემყარება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდს, რომელიც გულისხმობს მოსწავლის მიერ კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტის პირობებში როგორც პრაქტიკული უნარ-ჩვევების, ასევე თეორიული ცოდნის შეძენასა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ PBL – და VaKE-მეთოდები ინტეგრირებულად გამოიყენება სწავლების პროცესში. ამგვარი მიდგომით წარმართული სწავლებისას განმსაზღვრელ შეფასებაზე არანაკლებ მნიშვნელოვანია პრობლემის/პრობლემური სიტუაციის იდენტიფიცირების, მისი გამომწვევი მიზეზებისა თუ ზემომქმედი ფაქტორების, განვითარების

დინამიკისა და გადაწყვეტის პერსპექტივების/ გზების მოძიება-ანალიზისას მოსწავლის მიერ ეტაპობრივად (პრობლემის განხილვის ცალკეულ ეტაპზე) გამოვლენილი კომპეტენციის განმავითარებელი შეფასება. სწორედ ეს წარმოაჩენს დინამიკაში მოსწავლის მიერ პრობლემის აღქმა-გააზრებას, პრობლემაზე რეაგირებისადმი მზაობას, პრობლემური სიტუაციის განხილვა-გადაწყვეტის პროცესში გამოვლენილ დამოკიდებულებებს, იმ ინტერესებსა და ღირებულებებს, რომლითაც ხელმძღვანელობს შესაფასებელი პირი გადაწყვეტილების მიღებისას, მისი მოქმედების შედეგებისა თუ მოტივების გაცნობიერების, საკუთარი/ სხვისი პასუხისმგებლობის განსაზღვრის უნარისა და შესაძლებლობის გაანალიზების დროს.

აქვე შევნიშნავთ, რომ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების პროცესში მიზანშეწონილია მოსწავლეს განსახილველი ქეისის სახით შევთავაზოთ პრობლემური სიტუაციური მაგალითი. ამ ფორმატში შესრულებული დავალებისა და გამოვლენილი კომპეტენციის გაზომვა-შეფასებისას მართებულია ვიხელმძღვანელოთ **შემთხვევაზე დაფუძნებული შეფასების** *(Case-based Assessment – CBA)* **მეთოდით**. ამ მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოსწავლეები მსჯელობენ პრაქტიკიდან მოპოვებულ/ ცხოვრებისეულ შემთხვევებზე და ჯგუფური დისკუსიით იძენენ უნარს, ეძებონ ალტერნატიული გადაწყვეტილებები, დაასაბუთონ მათი მართებულობა-საჭიროება და შეაჯერონ რეალობასთან. ზოგადად, პრობლემური ქეისების განხილვა ხდება მცირე ჯგუფებში, სადაც წევრები ერთობლივი მსჯელობის საფუძველზე ეცნობიან საკითხს, შეიმუშავებენ წინადადებებს, აუდიტორიას წარუდგენენ მოსაზრებებს/პოზიციებს. ამ პროცესში მოსწავლეები იძენენ ახალ ცოდნა-უნარებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, სწავლობენ ინფორმაციის შეკრებას, კითხვების დასმას, მასალის შეფასებას, ალტერნატივების ჩამოყალიბებას, გადაწყვეტილების მიღებას. რაც მთავარია, ეს მეთოდი მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადასაწყვეტ საკითხთან მიმართებით საკუთარი ცოდნის შეფასების საფუძველზე თავადვე გაარკვიოს, თუ რა უნდა იცოდეს პრობლემის / საკითხის უკეთ გასაგებად. ცხადია, ამ პროცესში მოსწავლე აფასებს საკუთარ და ჯგუფის სხვა წევრთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შედეგებს. მაშასადამე, ქეისით სწავლება და პრობლემის ანალიზი მოსწავლეებს ეხმარება სწავლის დამოუკიდებლად წარმართვაში, საკუთარი თუ ჯგუფის წევრთა ცოდნა-უნარების და/ან დამოკიდებულებების შეფასებაში.

შევნიშნავთ, რომ **პრობლემაზე დაფუძნებული შეფასების** (PBA), ისევე, როგორც **ქეისზე დაფუძნებული შეფასების** (CBA) გამოყენება საკმაოდ ეფექტიანია დემოკრატიისა და ტოლერანტულობის ღირებულებების გაცნობიერების, მათი გათავისებისა და მოქმედების პროცესში გათვალისწინების დონისა თუ ხარისხის შეფასებისას.

კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლების პროცესში, მოსწავლის ცოდნა-უნარების, შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების კომბინირებულად შეფასებისათვის ასევე წარმატებით გამოიყენება **დავალების შესრულებაზე ორიენტირებული შეფასება** *(Task-Based Assessment – TBA),* რომლის მიზანია შეაფასოს მოსწავლის ცოდნა მითითებების შესაბამისად შესრულებული დავალების შეფასების გზით. ამ მეთოდის მთავარი დანიშნულებაა კომპეტენციის შეფასება ცოდნა-უნარების უშუალოდ დავალების შესრულების პროცესში გამოყენების პირობებში. ამ მეთოდით შეფასების საკვანძო პრინციპია – დავალების კომუნიკაციური ფუნქციის უზრუნველყოფა. მოსწავლეს მოეთხოვება ისეთი დავალების შესრულება, რომელიც არამარტო კლასში, არამედ მის გარეთაც გამოადგება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ სახის შეფასების დროს, სწავლება და შეფასება ჰარმონიულად ერწყმიან და აძლიერებენ ერთმანეთს. შესაბამისად, ნებისმიერი სასწავლო დავალების გამოყენება შეიძლება მოსწავლის ცოდნა-უნარების შესაფასებლად. გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ როგორ ერწყმის დავალების შესრულება-შეფასების პროცესი სასწავლო ციკლს და რა შედეგზე გაჰყავს მოსწავლე. დავალების შესრულებაზე ორიენტირებული შეფასებისას: ა) მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა მოახდინოს არამხოლოდ ცოდნის, არამედ მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარის დემონსტრირება; ბ) მკაფიოდ წარმოჩინდება, თუ რომელი კრიტერიუმებით ფასდება მოსწავლის მოსწრება; გ) უკუკავშირის გზით შესაძლებელია მოსწავლის პროგრესის შეფასება სასწავლო მიზნებისა და ამოცანების მიღწევასთან დაკავშირებით.

ზოგადად, შეფასების მიზნებისათვის ამ მეთოდის გამოყენებისას, მასწავლებლის ამოცანაა, სათა-

ნადოდ გაიაზროს სასწავლო მასალა და საკვანძო საკითხები, გამოკვეთოს სწავლება-სწავლის მოსალოდნელი შედეგები, მათი მიღწევის დადასტურებისათვის განსაზღვროს ***კონკრეტული დავალებები, გაწეროს დავალების შესრულების მითითებები და შეფასების კრიტერიუმები*** ინდივიდუალურად ან/და მცირე ჯგუფებში შესრულების პერსპექტივის გათვალისწინებით. დავალების შესრულებაზე ორიენტირებული შეფასება წარმატებით გამოიყენება როგორც კონკრეტული, ისე კომპლექსური დავალებების შესრულებისას გამოვლენილი ცოდნა-უნარების განმავითარებელი თუ განმსაზღვრელი შეფასებისას, მათ შორის, სასკოლო კულტურის განვითარების, ეროვნული თუ კულტურული იდენტობის გაცნობიერებისა და სხვა საკითხების სწავლებისას.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პროცესში, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების ფორმატში, მოსწავლის კომპეტენციის ერთიანობაში შეფასების მიზნით, ასევე წარმატებით გამოიყენება **სასწავლო პროექტის შესრულების შეფასება** *(Project Appraisal Assessment-PAA).* ზოგადად, პროექტით სწავლების მეთოდი სრულიად განსხვავებულია ტრადიციული სწავლება-შეფასების მეთოდოლოგიისაგან: ის ხელს უწყობს ინტეგრირებულ სწავლებას; ამ პროცესში მოსწავლეებს უწევთ მნიშვნელოვანი დავალებების შესრულება, რაც მათ უვითარებს: კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას; ინფორმაციის მოძიების, გადაწყვეტილების მიღებისა და პრობლემის გადაჭრის, გუნდში მუშაობისა და ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარს, და სხვ. სასწავლო პროექტის ფორმატში დავალების შესრულება შესაძლებელია ნებისმიერი საგნის სწავლების დროს, სწორედ ამიტომ განსხვავდება შესასრულებელი პროექტები თემატიკისა და მასშტაბის, შესასრულებელი დროის და კლასის, განსავითარებელი და შესაფასებელი ცოდნა-უნარებისა და სასწავლო თუ სოციალური მიღწევების მიხედვით. თუმცაღა, ნებისმიერო საგნის თუ საგნების სწავლების დროს, სასწავლო პროექტის შესრულების შეფასება განსაკუთრებით პროდუქტიულია ისეთი თემებისა თუ დავალებების შესრულებისას, რომლებიც შედარებით კომპლექსური ხასიათისაა, ორიენტირებულია მოსწავლის მიერ ეტაპობრივად და/ან კომპლექსურად გამოვლენილი ცოდნა-უნარებისა თუ სასწავლო მიღწევების შეფასებაზე. ასე მაგალითად, ეროვნული და კულტურული იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით შესაძლებელია სასწავლო პროექტის მომზადება სხვადასხვა საგნის, მათ შორის, უცხოური (ინგლისური) ენის ფარგლებშიც კი. ასეთი მიდგომისას, მთავარია, მოსწავლეებს შევთავაზოთ ისეთი საპროექტო თემის დამუშავება-წარმოდგენა, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ენობრივი, ისე ინტერკულტურული და, რაც მთავარია, ღირებულებითი კომპეტენციების განვითარებას. თუნდაც, პროექტის მომზადება თემაზე: „ჩემი ქვეყნის სამზარეულო“, რომლის მიზნად შეიძლება განისაზღვროს: ერთი მხრივ, მოსწავლეებში კომუნიკაციის უნარის განვითარება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება და ნასწავლი ლექსიკის პრაქტიკაში გამოყენება; მეორე მხრივ კი, საკუთარი მხარეების ტრადიციების, სამზარეულოსა და ტრადიციული კერძების გაცნობა; ზოგადად ქართული სამზარეულოს სპეციფიკის – ეროვნულ-კულტურული თავისებურებების გააზრება; საქართველოს თითოეული კუთხის სპეციფიკის გათვალისწინებით კერძების შერჩევა; პრეზენტაციის მომზადება-წარდგენა (შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ინტერნეტსივრცეც – მაგალითად, მოსწავლეებმა შექმნან ბლოგი). ამგვარ პროექტზე მუშაობა ხელს შეუწყობს ეროვნული და კულტურული ტრადიციების გაცნობას, თითოეული კუთხის/მხარის სპეციფიკის გააზრებას (თუნდაც, სამზარეულოსა და კერძის წარმოშობის ისტორიის გაცნობის პროცესში); ქართული იდენტობის ცნობიერების ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ სასწავლო პროექტის შესრულებისას მოსწავლის მიერ გამოვლენილი კომპეტენციის შეფასება შეიძლება გახორციელდეს სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე ფასდება მოსწავლის/მოსწავლეთა წინარე ცოდნა და ინტერესები პროექტის ფარგლებში დასამუშავებელ საკითხებთან მიმართებით. მეორე ეტაპზე ფასდება საკვლევი/დასამუშავებელი საკითხებისადმი ინფორმაციის მოძიების, დახარისხების, თანამშრომლობის, საპროექტო დავალების ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების შესრულება. მესამე ეტაპზე კი ფასდება მოსწავლის/მოსწავლეთა შემოქმედებითი და საპრეზენტაციო უნარები. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო პროექტის შესრულების შეფასების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა კომპეტენციების შეფასებისას გაკეთებული განმავითარებელი კომენტარები.

გამოყენებული წყაროები:

1. *Black, P & Wiliam, D (1998). 'Assessment and Classroom Learning', Education: Principles, Policy and Practice, March, vol 5, no 1, pp 7-74.*
2. *Krathwohl, D. R., Bloom, B. S., & Masia, B. B. (1964). Taxonomy of educational objectives: The classification of educational goals, Hand book II: Affective domain. New York: David Mckay Company In corporated.*
3. *Ministry of Education, Science, Culture and Sport of Georgia (2019). 2019 Summative Forum to Discuss 'the New School Model' Outcomes. Retrieved on 16/12/21 from: https://mes.gov.ge/*
4. *National Curriculum Portal (n.d.). The New National Curriculum 2018-2024. Retrieved on 16/12/21 from: http://ncp.ge/*
5. *Trumbull, E., & Lash, A. (2013). Understanding Formative Assessment: Insights from Learning Theory and Measurement Theory. – https://www.wested.org/online_pubs/resource1307.pdf*
6. *Wilson M. and Sloane K. (2000). From principles to practice: An embedded assessment system. Applied Measurement in Education.2000. 13(2): 181-208.*

დანართები

მოდული 1. სასწავლო სახელმძღვანელოებისა და სწავლების მეთოდიკის ოპტიმიზაცია

დანართი 1.1.

სამოდელო მეთოდის პრაქტიკული სქემა

(სქემის ეტაპების დასახელებები მოცემულია წიგნის – ცოდნა და ღირებულებითი განათლება. შავერდაშვილი ე. მოსიაშვილი თ. თბილისი 2018 – მიხედვით)

N	ეტაპი	ნაბიჯები	სავარაუდო სამუშაო მასალა, აქტივობები	კომენტარი
1.	დილემის წარდგენა	მასწავლებელი წარადგენს თემას და სვამს დილემაზე ორიენტირებულ შეკითხვას. კლასს გააცნობს, თუ რა ღირებულებებია განსახილველი.	თემა – მალალა – ჩვენ მხოლოდ მაშინ ვხვდებით ჩვენი ხმის მნიშვნელობას, როცა გვაჩუმებენ. დილემის შეკითხვა – უნდა დაბრუნდეს თუ არა მალალა ავღანეთში? ღირებულებები – გენდერული თანასწორობა, ადამიანის უფლებები.	მოცემულ ეტაპზე შესაძლებელია მასწავლებელმა მოსწავლეების სახლში დასამუშავებლად მისცეს თემასთან დაკავშირებული ვიდეო, აუდიო ან ტექსტური დავალება გასაცნობად და შემდეგ კლასში დაისვას შეკითხვა. აღნიშნული მიდგომა გულისხმობს შებრუნებული საკლასო ოთახის ელემენტებს.
2.	პირველი გადაწყვეტილება	რომელი მოსწავლე ეთანხმება და რომელი არ ეთანხმება დილემის გამომრიცხავ დებულებებს?	მოსწავლეები იყოფიან გუნდებად – მომხრეები, მოწინააღმდეგეები.	აღნიშნული ეტაპი ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეები გაერთიანდნენ თავიანთი შეხედულებების გათვალისწინებით.
3.	პირველი არგუმენტირება	რომელი არგუმენტების მოყვანა შეუძლია მას საკუთარი აზრის დასაცავად?	ამოსავალი შეკითხვა პირველი არგუმენტირებისას – რატომ ფიქრობთ ასე?	ამ ეტაპზე მოსწავლეები არგუმენტებით განამტკიცებენ თავიანთი არჩევანის სისწორის, რაც პირველადი ხასიათისაა. ამ დროს ვლინდება პირველადი საჭიროება ინფორმაციული ნაკლოვანების შესავსებად, რათა გუნდის არგუმენტები იყოს გამყარებული და დამაჯერებელი.
4.	გამოცდილების გაზიარება და არსებული ინფორმაციის ახლით შევსებისათვის მზადება	როგორ შეუძლია მოსწავლეს საკუთარი არგუმენტების გამყარება? რომელი კითხვები რჩება პასუხგაუცემელი?	მასწავლებელი, როგორც ფასილიტატორი, მოსწავლეებს აწვდის ყველა შესაძლო და აუცილებელ მასალას, რათა გუნდებმა შეძლონ ინფორმაციული ნაკლოვანების შევსება.	მოცემულ ეტაპზე მოსწავლეები ივითარებენ მედია/წიგნიერების უნარებს და ცდილობენ მათთვის ყველაზე საჭირო ინფორმაციის არგუმენტებად ფორმირებას. მოსწავლეები გუნდურად მუშაობენ.

5.	ინფორმაციის მოძიება მოსწავლეების მიერ	რომელი ინფორ-მაციის მოძიებაა საჭირო საკუთარი არგუმენტების გასა-მყარებლად?	მასწავლებელს შეუძლია მიუთითოს წყარო.	მოსწავლეებს აქვთ შესაძლებ-ლობა, თავად მოიძიონ საჭირო რესურსები და გადაწყვიტონ, თუ რომელი იქნება მათთვის საჭი-რო.
6.	ინფორმაციის გაცვლა ერთმანეთს შორის	როგორია მიღებული შედეგები და საკმარისია თუ არა მოძიებული ინფორმაცია?	გუნდური მუშაობა შესაძ-ლებელია განხორციელდეს როგორც კლასში, მასწა-ვლებლის ფასილიტაციით, ასევე გუნდის კლასგარეშე აქტივობის სახით (ონლა-ინ, პირისპირ).	მოსწავლეები ამ ეტაპზე მჭი-დროდ თანამშრომლობენ ერ-თმანეთთან და სწავლობენ, თუ როგორ უნდა შეჯერდნენ მისა-ღებ მოსაზრებებზე, მოუსმინონ ერთმანეთს და თავადაც გამოხა-ტონ მოსაზრება.
7.	მეორადი არგუმენტირება დი-ლემის შესახებ	რატომ არის მოსწა-ვლე წინააღმდეგი და რატომ არ ეთა-ნხმება წარმოდგე-ნილ მოსაზრებას? შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა მოსწავლემ გადაი-ფიქროს და გადავი-დეს მეორე გუნდში, რადგან ის იმ გუნდის არგუმენტებით დარ-წმუნდა მათი არჩევა-ნის სისწორეში.	საკლასო მუშაობა. სავარაუდო მასალა – პრე-ზენტაცია, ვიდეორგოლი, ვერბალური წარდგენა და სხვ.	მოსწავლეთა არგუმენტირება გა-მყარებულია დამუშავებული ინ-ფორმაციით და გამოყენებული წყაროები მათ მსჯელობას უფრო დამაჯერებელს ხდის. მოსწავლე-ები ივითარებენ მსჯელობის, არგუმენტირების, კრიტიკული აზროვნების უნარებს. მოსწავლე სწავლობს, რომ მას აქვს არჩევანის თავისუფლება. აფასებს ღირებულებებს.
8.	ინფორმაციის სინთეზი (დისკუსია დილემის შესახებ) (შდრ. მე-4 ნაბიჯი)	რომელი არგუმენტე-ბი ეყრდნობა მიღე-ბულ ახალ ცოდნას?	მასწავლებელი ახდენს მო-სწავლეების ფასილიტაცი-ას.	მოსწავლეები აანალიზებენ და-მატებით ინფორმაციულ საჭირო-ებას ან რწმუნდებიან თავიანთ პოზიციაში.
9.	საჭიროების შემთხვევაში მე-4-დან მე-8 ნაბიჯების გამეორება	დარჩა თუ არა დილემასთან დაკავშირებული კითხვები პასუხგაუცემელი?	მასწავლებელი საჭიროე-ბის მიხედვით ინდივიდუ-ალურად ესაუბრება მო-სწავლეებს ან მიმართავს მთელ კლასს ზოგადი მიმა-რთულებებისთვის.	
10.	ბოლო პროდუქტი, სინთეზი (ინფორმაციის შეჯერება)	რა შედეგამდე მივი-და კლასი?	მოსწავლეები ახდენენ ღი-რებულებებზე ორიენტირე-ბული დილემის შეჯამებას და გამოაქვთ დასკვნები. შესაძლებელია არგუმენტე-ბის საბოლოო სახით – პრე-ზენტაციით, მოკლე ჩანა-წერებით, ინტერვიუებით წარდგენა.	
11.	განზოგადება	როგორ განზოგად-დება საკითხი და წარიმართება დისკუსიები სხვა თემებზე?	განზოგადების სავარაუდო ნიმუშები – ერთ ადამია-ნსაც შეუძლია შეცვალოს გარემო; ქალთა უფლებები საქართველოსა და მსო-ფლიოში, განათლების მი-ღების უფლება ფუნდამე-ნტურია.....	შემაჯამებელ ეტაპზე ხდება კონ-კრეტული, განხილული საკითხის განზოგადება, რაც მოსწავლეებს ეხმარება ისწავლონ საკითხთა ურთიერთდაკავშირება და ცალ-კეულ ღირებულებათა სხვა, ფა-რთო სპექტრის ღირებულებებ-თან ლოგიკური დაკავშირება.

რეკომენდაცია 2. დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ ცნობიერების ამაღლება

დანართი 2.1.

მაგალითები საკითხისთვის „მოქალაქეების მონაწილეობა კანონშემოქმედების პროცესში“

1. საქართველოს მოქალაქე ზურაბ ვანიშვილის მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება უმეთვალყურეო და მიკედლებული ცხოველების ცხოველთა თავშესაფარში სავალდებულო გადაყვანის შესახებ (განიხილა ბიურომ 13.12.2021).

2. საინიციატივო ჯგუფის (რუსუდან კოტაშვილი, გიორგი კეკელიძე, ნინო ქუთათელაძე, დიმიტრი ლორთქიფანიძე, ემზარ კვიციანი, ათანასე ჩიქვინიძე, ლაშა სტურუა, იზო ბაქრაძე, ამირან ბუთურიშვილი, სოლომონ ნერგაძე, ბესიკ ადამია, დეკანოზი – მამა იოსებ ხოხონიშვილი, გიორგი ჩალათაშვილი) მიერ წარმოდგენილი საქართველოს 619 მოქალაქის ხელმოწერილი პეტიცია „ქართული სალიტერატურო ენის შესახებ – ვილაპარაკოთ და ვწეროთ ქართულად“

https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/289652

3. საქართველოს 400 მოქალაქის მიერ წარმოდგენილი პეტიცია COVID 19-თან დაკავშირებით იძულებითი ტესტირებისა და ვაქცინაციის შესახებ.

- დემოკრატიული ინსტიტუტების მნიშვნელობას დემოკრატიულ წყობილებაში
- მოქალაქეთა მმართველობაში მონაწილეობის არსსა და შესაძლებლობებს
- ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმებს.

4. საკითხისთვის *ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები*

2004 წელს ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი საქმეზე „ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“. მოქალაქე თენგიზ ასანიძეს ორ საქმესთან დაკავშირებით ედებოდა ბრალი. მიუხედავად იმისა, რომ პირველ საქმეზე ის შეიწყალა პრეზიდენტმა და მეორე საქმეზე სასამართლომ ის არ ცნო დამნაშავედ, ის მაინც იმყოფებოდა უკანონო პატიმრობაში, რის გამოც მოხდა სარჩელის შეტანა სტრასბურგის სასამართლოში. სასამართლომ განიხილა საქმე და გამოიტანა განაჩენი თენგიზ ასანიძის სასარგებლოდ. ის დაუყოვნებლივ უნდა გაეთავისუფლებინათ და სახელმწიფოს მისთვის სამი თვის ვადაში გადაეხადა სოლიდური თანხა უკანონო პატიმრობისთვის.

დანართი 2.2

არჩევნები და საარჩევნო ადმინისტრაცია

სამოდელო გაკვეთილის გეგმა

არჩევნების საკითხი სხვადასხვა მხრიდან შეიძლება იქნას განხილული. მაგალითად, რა ტიპის არჩევნები არის სახელმწიფოში, ვის შეუძლია მათში მონაწილეობა და რა ასაკიდან, როგორ უნდა გააკეთოს არჩევანი მოქალაქემ. ამ კითხვებზე პასუხი გაცემულია სამოქალაქო განათლების მოქმედ სახელმძღვანელოებში. ეს პრაქტიკული ხასიათის საკითხებია, რომელთა გაგება-ათვისება მაშინ იქნება ეფექტიანი, როცა მოსწავლეები გაითავისებენ არჩევნებს, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დემოკრატიულ ინსტიტუტს. ქვემოთ ნიმუშისთვის მოყვანილია გაკვეთილის გეგმა.

სავარაუდო დრო 2 სთ.

მიზანი: მოსწავლეებმა გაიაზრონ არჩევნები, როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიის განუყოფელი ნაწილი, დაინახონ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების აუცილებლობა მოქალაქეებისთვის და, შესაბამისად, დემოკრატიის განვითარებისთვის.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლეებს შეუძლიათ

- მსჯელობა არჩევნების როლზე დემოკრატიულ საზოგადოებაში და მათ მთავარ მახასიათებლებზე;
- დაინახონ სამართლიანი საარჩევნო გარემოსთვის აუცილებელი პირობები;
- განსაზღვრონ ამომრჩეველთა ინფორმირებულობის ამაღლების გზები.

აქტივობა 1 (წინარე ცოდნის გასააქტიურებლად, ორგანიზების ფორმა – საერთო საკლასო)

კითხვები:

- რას ნიშნავს სიტყვა „დემოკრატია“?
- როგორ ხორციელდებოდა დემოკრატია ათენში?
- რატომ არ ხორციელდება პირდაპირი დემოკრატია თანამედროვე სახელმწიფოებში?

აქტივობა 2 (მასალის არსში წვდომა, ორგანიზების ფორმა – ჯგუფური მუშაობა)

მასწავლებელი აცნობს (მაგრამ არ განმარტავს) არჩევნების დემოკრატიულობის შესაფასებლად ეუთოს მიერ შემუშავებულ დებულებათა არსის შემცველ შვიდ საკვანძო სიტყვას (საყოველთაო, თანასწორი, თავისუფალი, სამართლიანი, ფარული, ღია და ანგარიშვალდებული) და წერს მათ დაფაზე. სთხოვს მოსწავლეებს დაიყონ 4 ჯგუფად და ურიგებს ჯგუფებს დავალებებს.

დავალება პირველი ჯგუფისთვის: ახსენით, როგორ გესმით საყოველთაო და თანასწორი არჩევნები.

დავალება მეორე ჯგუფისთვის: ახსენით, როგორ გესმით ფარული და თავისუფალი არჩევნები.

დავალება მესამე ჯგუფისთვის: ახსენით, როგორ გესმით ღია და ანგარიშვალდებული არჩევნები. ახსენით, რას წარმოადგენს საარჩევნო ადმინისტრაცია.

დავალება მეოთხე ჯგუფისთვის: ახსენით, როგორ გესმით სამართლიანი არჩევნები.

აქტივობა 3 (ჯგუფების მიერ ნამუშევრების პრეზენტაცია და საერთო განხილვა)

თითოეული ჯგუფიდან თითო წევრი წარადგენს ნამუშევარს. მოსწავლეები სვამენ კითხვებს, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს. შემდეგ მასწავლებელი აზუსტებს მოსწავლეთა გამონათქვამებს.

შენიშვნა: მასწავლებელმა უნდა გაამახვილოს ყურადღება იმაზე, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატია ხორციელდება არჩევნების

საშუალებით. საყოველთაობა განაპირობებს ყველა ზრდასრული მოქალაქის (გარდა სასამართლოს მიერ ცნობილი მხარდაჭერის მქონე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მოქალაქეებისა) მონაწილეობას არჩევნებში და, შესაბამისად, ქვეყნის მმართველობაში. თავისუფალი არჩევნები გულისხმობს ყოველგვარი ზეწოლის გამორიცხვას როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების დღეს, რაც საშუალებას აძლევს ამომრჩეველს გამოხატოს საკუთარი ნება. ფარული კენჭისყრა თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობაა. უსამართლოდ ჩატარებული არჩევნები იწვევს ნიჰილიზმს და თანასწორობის უფლების შელახვას. საარჩევნო ადმინისტრაციის, საარჩევნო სუბიექტების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის ღიად განხორციელება და საარჩევნო ადმინისტრაციის ანგარიშვალდებულება სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ემსახურება. ხშირი არჩევნები კი აუცილებელია ხელისუფლების პასუხისმგებლობის დონის შესანარჩუნებლად და ნებისმიერი ამომრჩევლისთვის ნების გამოხატვის შესაძლებლობის მისაცემად. მოსწავლეებს შესაძლოა დასჭირდეთ ინფორმაციის დაზუსტება საარჩევნო ადმინისტრაციის შესახებ (იხ. რესურსები გაკვეთილისთვის).

აქტივობა 4 (ანიმაციის ნახვა და მსჯელობა მის ირგვლივ, ორგანიზების ფორმა – საერთო საკლასო)

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ანიმაციას „არჩევნები“ და სთხოვს დააკვირდნენ, რა პრობლემებია წამოჭრილი: *https://www.youtube.com/watch?v=dVz_XyqF7EQ&t=21s*

აქტივობა 5 (ორგანიზების ფორმა – საერთო საკლასო)

მასწავლებელი სვამს კითხვებს:

- უნდა იყოს თუ არა წინასაარჩევნო პერიოდში დაშვებული აზრის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის დამოუკიდებელი წყაროებისა და გაერთიანებების თავისუფლება?
- რას განაპირობებს წინასაარჩევნო პერიოდში დაშვებული აზრის გამოხატვის თავისუფლება, ინფორმაციის დამოუკიდებელი წყაროებისა და გაერთიანებების თავისუფლება?
- რას ნიშნავს ინფორმირებული ამომრჩეველი?

აქტივობა 6 (ორგანიზების ფორმა – ჯგუფური მუშაობა)

შექმენით ფლაერი მოსახლეობისათვის, რომელიც წაახალისებს მის მონაწილეობას არჩევნებში. ფლაერში მკაფიოდ წარმოაჩინეთ:

- დემოკრატიული არჩევნების ძირითადი მახასიათებლები;
- ის უფლებები, რომელთა რეალიზება ხდება არჩევნებში მონაწილეობის მიღებით;
- გზები, რომელთა საშუალებით მოქალაქეებს შეუძლიათ გახდნენ ინფორმირებული ამომრჩევლები.

აქტივობა 7

ნამუშევრების პრეზენტაცია

შეჯამება

რა შევისწავლეთ? როგორ შევისწავლეთ? რატომ შევისწავლეთ?

რეკომენდებულია, სამოდელო გაკვეთილის მომზადებისას მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ქვემოთ მითითებული რესურსებით: რესურსი თემისათვის – დემოკრატიული ინსტიტუტების შესახებ ცნობიერების ამაღლება:

1. რა ვიცით პარლამენტის შესახებ, მეთოდური რეკომენდაციები მასწავლებლებისათვის. ტექსტის ავტორები: კახა ურიადმყოფელი, ნინო გვარამაძე, თბილისი 2020 – ხელმისაწვდომია ელმისამართზე: *https://web-api.parliament.ge/storage/files/shares/Komitetebi/ganatleba/wigni/metoduri-me7.pdf*
2. სამოქალაქო განათლება თვითმმართველობაში ჩართულობისთვის, საკითხავი მასალა მასწავლებლისათვის, შემდგენელი კოკა კიღურაძე, თბილისი 2016.
3. ადამიანის უფლებათა დაცვის საე-

რთაშორისო მექანიზმები. ხელმისაწ-ვდომია ელმისამართზე: https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-17

4. ადამიანის უფლებათა დაცვის შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები. ხელმისაწვდომია ელმისამართზე: https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-16

რესურსი თემისათვის: არჩევნები და საარჩევნო ადმინისტრაცია

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. ხელმისაწვდომია ელმისამართზე: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=4267
2. საყოველთაო საარჩევნო უფლება. ხელმისაწვდომია ელმისამართზე: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=8876
3. ფარული არჩევნები: http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=1127
4. საქართველოს ორგანული კანონი, საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 3,4. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1557168?publication=71

მოდული 3. ტოლერანტობისა და თანასწორობის იდეის დამკვიდრების ხელშეწყობა

დანართი 3.1

მაგალითები საკითხისთვის:

ა) მრავალფეროვნება

1. საქართველოს სკოლებში დღეს ხშირად შეხვდებით, როგორც ეთნიკურად ქართველ, ისე სომეხ, რუს, უკრაინელ, აზერბაიჯანელ, ებრაელ, ოს მოსწავლეებს.
2. ბოლო წლებში სკოლებში გაჩნდნენ ფერადკანიანი ბავშვები, რომელთაგან ზოგი საქართველოს მოქალაქეა და ზოგი – არა.
3. მულტიეთნიკურ (და არამარტო) კლასებში ხშირად სხვადასხვა აღმსარებლობის (მართლმადიდებელი ქრისტიანი, მაჰმადიანი, კათოლიკე ქრისტიანი, იეღოველი, იუდეველი და სხვა) მოსწავლე სწავლობს.

ბ) სეკულარული (საერო) სახელმწიფოს არსი

1. ეკლესია არ უნდა მონაწილეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის შედგენაში.
2. სახელმწიფო არ ერევა სინოდის გადაწყვეტილებში.

გ) ტოლერანტული გარემოს შექმნა სკოლაში

1. რამდენიმე მასწავლებელი იკრიბება და მსჯელობს, თუ როგორ დაეხმარონ მოსწავლეს თვითშეფასების ამაღლებაში.
2. მოსწავლეებმა დამრიგებელთან ერთად წლის დასაწყისში შეიმუშავეს ქცევის წესები. ერთ-ერთმა მათგანმა უხეშად დაარღვია წესი. მას დაუწესეს სანქციები: ის ერთი კვირის განმავლობაში ამეცადინებდა უმცროსკლასელ მოსწავლეს, რომელსაც პრობლემები ჰქონდა ერთ-ერთ საგანში (იდეა მდგომარეობს იმაში, რომ საქმე იყოს სასარგებლო და არ იყოს ღირსების შემლახველი).

დანართი 3.2

მრავალფეროვნება

სამოდელო გაკვეთილის გეგმა

საერთო ევროპულ ღირებულებებში ტოლერანტობას განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი არსი განსხვავებულის მიმღებლობასა და პატივისცემაში მდგომარეობს. ტოლერანტობა მშვიდობის ერთგვარი წინაპირობაა. საქართველოში მრავალფეროვნების გამოვლინებას მოქალაქეები ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან. ამიტომაა აუცილებელი მოსწავლეებში ტოლერანტობის იდეის გაღვივება არსებული მრავალფეროვნების ფონზე. კვლევა აჩვენებს, რომ განსაკუთრებით პრობლემურია სკოლებში განსხვავებული რელიგიის პატივისცემის საკითხი.

სავარაუდო დრო – 2 სთ.

მიზანი: მოსწავლეებში რელიგიური ტოლერანტობის განვითარების ხელშეწყობა.

მოსალოდნელი შედეგები: მოსწავლეებს შეუძლიათ

- საქართველოში არსებული კულტურული მრავალფეროვნების აღქმა;
- რელიგიური დაპირისპირების ამოცნობა;
- მოვლენის განხილვა კანონის პრიზმაში.

აქტივობა 1 (წინარე ცოდნის გააქტიურება. ორგანიზების ფორმა – საერთო საკლასო)

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, შეავსონ დაფაზე ან დიდ ფურცელზე დახაზული ცხრილი და შემდეგ დააკვირდნენ, რამდენნაირ განსხვავებულობას შეიძლება შეხვდნენ.

მრავალფეროვნება საქართველოში

N	ეთნოსები საქართველოში	რელიგიები საქართველოში	რასები საქართველოში	ასაკობრივი ჯგუფები საქართველოში	სხვა
1					
2					
3					
4					
5					
6					
7					

აქტივობა 2 (ქეისის განხილვა. ინდივიდუალურად და შემდეგ მთელი კლასის მიერ)

წაიკითხეთ სოციალურ მედიაში გავრცელებული შეტყობინება და უპასუხეთ კითხვებს.

„ქობულეთში მუსლიმთა დაგეგმილი პანსიონის კარზე ღორის თავი მიაჭედეს

ქობულეთის მაცხოვრებლებმა, რომლებიც მათ უბანში მუსლიმური პანსიონის გახსნას ეწინააღმდეგებიან, 10 სექტემბერს შენობის შესასვლელთან ღორი დაკლეს და მისი თავი კარებზე მიაჭედეს.

„მართლა შეურაცხყოფილები ვართ. ძალიან ცუდი ფაქტია; ასეთი რამ არ მომხდარა არც ერთ საუკუნეში“, – განაცხადა მუსლიმთა სამმართველოს მუფთმა ჯემალ პაქსაძემ და დასძინა, რომ ეს მუსლიმთა დიდი შეურაცხყოფაა და დამნაშავეებმა პასუხი უნდა აგონ.“

- რატომ მიაჭედეს ღორის თავი კედელზე?
- რა გამოხატეს ამ საქციელით მაცხოვრებლებმა?
- რა ამოძრავებდათ ადგილობრივ მაცხოვრებლებს?
- რა შედეგები შეიძლება მოჰყოლოდა ასეთ საქციელს?

აქტივობა 3 (მუშაობა დილემაზე)

დილემური კითხვა: უნდა არსებობდეს თუ არა საქართველოში მუსლიმური სკოლა-პანსიონი?

ეს დილემა გულისხმობს მუშაობას შემდეგ ღირებულებებზე: სხვისი აღმსარებლობის პატივისცემა, თანასწორობა, კანონის უზენაესობა.

პირველი გადაწყვეტილების მიღებამდე მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ფურცლებს შემდეგი ინფორმაციით:

სკოლა-პანსიონი ეს არის დაწესებულება, სადაც მოსწავლეები სწავლობენ და ცხოვრობენ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ცდილობს, რომ ქვეყანაში აღარ იყოს დიდი ზომის სკოლა-პანსიონები. მიუხედავად ამისა, საქართველოში ფუნქციონირებს ადგილობრივი თვითმმართველობების დაქვემდებარებაში, საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი და მუსლიმური სკოლა-პანსიონები.

საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი პანსიონების მოსწავლეები ზოგად და რელიგიურ განათლებას პანსიონში იღებენ, ხოლო მუსლიმური პანსიონის მოსწავლეები ზოგადი განათლების მისაღებად ადგილობრივ სკოლაში დადიან, ხოლო რელიგიურ ცოდნას პანსიონში ეუფლებიან. ამ სკოლა-პანსიონებში ძირითადად საქართველოს მოქალაქე, ეთნიკური ქართველები სწავლობენ.

პირველი გადაწყვეტილების გაცხადებისას მოსწავლეებს მოჰყავთ არგუმენტები. მსჯელობის შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ, თუ რომელ კითხვებზე დარჩათ პასუხი გაუცემელი. შემდგომ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაეცნონ მოკლე ინფორმაციას სკოლა-პანსიონებზე და მოძებნონ (ან თვითონ ურიგებს) და გაეცნონ კონსტიტუციის მე-11, მე-16 და 27-ე მუხლებს.

მოკლე ინფორმაცია სკოლა-პანსიონებზე

საქართველოს კანონმდებლობით სკოლა-პანსიონები უნდა იყოს ლიცენზირებული. საპატრიარქოს დაქვემდებარებაში მყოფი და მუსლიმური პანსიონებიდან თითქმის არცერთს არ გააჩნია ლიცენზია.

საქართველოს კონსტიტუცია
მუხლი 11. თანასწორობის უფლება

1. ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებს, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში ან საჯაროდ.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისათვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

4. სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის.

მუხლი 16. რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები

1. ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.

2. ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ სა-

ზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

3. დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება, გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.

მუხლი 27. განათლების უფლება და აკადემიური თავისუფლება

1. ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

მასალის გაცნობის შემდეგ მხარეები უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს.

შენიშვნა: რეალური არგუმენტი, თუ რატომ არ უნდა არსებობდეს პანსიონები, არის ის, რომ ისინი არ არის ლიცენზირებული. ამაზე ყურადღების მიქცევა აუცილებელია (კანონის უზენაესობა). მსჯელობათა ციკლი წყდება მას შემდეგ, რაც ყველა კითხვაზე იქნება პასუხი გაცემული.

აქტივობა 4 (ჯგუფური მუშაობა)

ჩამოაყალიბეთ პირობები, რომლებსაც, თქვენი აზრით, უნდა აკმაყოფილებდეს რელიგიური (მართლმადიდებლური და ისლამური ცალ-ცალკე) სკოლა პანსიონები. წარმოაჩინეთ:

- რა უნდა იყოს პანსიონების მიზანი;
- რა როლს უნდა თამაშობდეს პანსიონი მულტიკულტურულ გარემოში;
- როგორი უნდა იყოს ფიზიკური გარემო სკოლა-პანსიონში.

პრეზენტაცია

შეჯამება

რა შევისწავლეთ? როგორ შევისწავლეთ? რატომ შევისწავლეთ?

რეკომენდებულია სამოდელო გაკვეთილის მომზადებისას მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ქვემოთ მითითებული რესურსებით:

რესურსი თემისთვის: ტოლერანტობისა და თანასწორობის იდეის დამკვიდრების ხელშეწყობა

1. იუნესკოს ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაცია, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: *http://tolerantoba.ge/index.php?id=1317639567&kat=166*
2. ტოლერანტობა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: *https://www.youtube.com/watch?v=dD4xQLWOqj4*
3. ტოლერანტობა და ჰუმანიზმი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია *https://www.youtube.com/watch?v=-ect1ccBNa4*
4. საზოგადოებრივი კონფლიქტები, მათი გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის სტრატეგიები, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: *https://www.civiceducation.ge/ka/lessons/1-6*
5. კონფლიქტი და კონფლიქტის მართვა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: *http://phf.org.ge/ka/resources/konfliqti-da-konfliqtis-martva/*

რესურსები გაკვეთილისთვის: *მრავალფეროვნება*

1. საქართველოს კონსტიტუცია, ელვერსია ხელმისაწვდომია: *https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346*
2. რელიგიური სკოლა-პანსიონები კონტროლს მიღმა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: *https://monitori.ge/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90-%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94/*
3. სახელმწიფო რეგულირების ჩარჩოს მიღმა დარჩენილ ბავშვთა სამზრუნველო დაწესებულებების სტატისტიკა, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: *https://worldvision.ge/file/get/526/3PCbLjGue0yNkjn-A3vqgg*

მოდული 6. სასკოლო კულტურის განვითარება

დანართი 4

კრიტიკული აზროვნება

სამოდელო გაკვეთილის გეგმა

გაკვეთილის გეგმა: 2 საათი

მომზადების თარიღი: 24 დეკემბერი 2021

1. გაკვეთილის შინაარსი

ეს არის კრიტიკული აზროვნების ზოგადი მიმოხილვა. კრიტიკული აზროვნების თემა არის მოსწავლეებისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხი. კლასის მთავარი მიზანია კრიტიკული აზროვნების 10-საფეხურიანი პროცესის აღწერა, რომელსაც „მართებული კითხვების დასმა“ ჰქვია. კლასის კიდევ ერთი მთავარი მიზანია მოსწავლეებისათვის შემდეგი საკითხების გაცნობა: (1) აზროვნების რა ტიპები არსებობს და რას ნიშნავს კრიტიკული აზროვნება? (2) რა არის კრიტიკული აზროვნების სტანდარტები? (3) რა წინაღობებს ვაწყდებით კრიტიკული აზროვნების პროცესში? ვინაიდან „სწორი კითხვების დასმის“ პროცესი ძალიან მნიშვნელოვანია, გაკვეთილში არის პრაქტიკული სავარჯიშო. გარდა ამისა, კრიტიკულ აზროვნებას წინ უძღვის სასწავლო მაგალითი „მკვლელობა მორგის ქუჩაზე“ (ედგარ ალან პო).

2. სწავლის მიზნები

სწავლის საბოლოო მიზნები

მოქმედება: კრიტიკულ აზროვნებასთან დაკავშირებული ცნებების გაგება და კრიტიკული აზროვნებისთვის მათი გამოყენება „მართებული კითხვების დასმის“ პროცესში.

პირობა: 12-24 მოსწავლისგან შემდგარ სასწავლო ჯგუფში მოქმედებს. მოცემულია საკითხავი მასალა, მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას საკლასო დისკუსიაში და პრაქტიკული სავარჯიშოს შესრულების დროს.

სტანდარტი: მოსწავლეებმა უნდა:

- განმარტონ „კრიტიკული აზროვნების“ მნიშვნელობა, შეადარონ იგი „ შემოქმედებით აზროვნებას“ და ახსნან, თუ რატომ არის იგი მნიშვნელოვანი.
- ჩამოთვალონ „პრობლემის გადაჭრის ზოგადი მეთოდის“ საფეხურები და ახსნან მათი შინაარსი.

სწავლების დონე:

3. მოსწავლის კომპეტენტურობის მოთხოვნები:

ამყარებს კავშირს – გადასცემს აზრებსა და იდეებს, რათა განამტკიცოს ურთიერთგაგება

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ ეფექტური და ნათელი კომუნიკაციის წარმოება, უნდა ისაუბრონ გრამატიკულად გამართულად, გამოიყენონ სწორი ტერმინები და ფრაზები და ასევე დარწმუნდნენ იმაში, რომ მათი გზავნილი ზუსტად არის გაგებული.

მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ მიიღონ გადაწყვეტილებები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ცოდნაზე და ლოგიკურ ვარაუდებზე. ისინი უნდა იყვნენ დამაჯერებლები და ლოგიკურ მსჯელობაზე დაყრდნობით კარგად შეაფასონ სიტუაცია ემოციების გარეშე.

მოსწავლეები უნდა დააკვირდნენ დეტალებს და, ამავე დროს, დაინახონ „დიდი სურათი“.

4. მოსწავლის დავალებები:

ა. წაიკითხოს:

მკვლელობა მორგის ქუჩაზე, ავტორი: ედგარ ალან პო (გამოქვეყნებულია 1841 წელს).

ბ. მოსწავლე მზად უნდა იყოს შემდეგი საკითხების განსახილველად:

- რას ნიშნავს კრიტიკული აზროვნება და რატომ არის იგი მნიშვნელოვანი?
- რას უწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების არარსებობა?
- რომელი ძირითადი უნარებია საჭირო კრიტიკული აზროვნებისთვის?
- ვინ არიან ჩვენთვის ცნობილი საუკეთესო კრიტიკულად მოაზროვნეები და რატომ ვთვლით, რომ ისინი საუკეთესოები არიან?
- რა არის კოგნიტიური ევრისტიკა?

5. შეფასების გეგმა.

მოსწავლეების შეფასება მოხდება მეცადინეობაში მონაწილეობისა და ორი ჯგუფის მიერ მომზადებული პრეზენტაციების შეფასების მიხედვით.

მოსწავლის შეფასება:

მასწავლებელი აკეთებს გარკვეულ დასკვნებს მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად. შეფასების ხერხია დაკვირვება მოსწავლეთა აქტივობაზე და მათ შესახებ ჩანაწერების გაკეთება.

მოსწავლეები უნდა შევაფასოთ იმ მიზნიდან გამომდინარე, რომელიც გაკვეთილის დასაწყისში დავისახეთ. გაკვეთილისათვის დაგეგმილი აქტივობები საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ მოსწავლეთა პროგრესი შემდეგი მიმართულებით, ესენია:

- მასწავლებელი აკვირდება პრეზენტაციის წაკითხვის შემდეგ გამართულ საკლასო დისკუსიას და აფასებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც ადეკვატურად პასუხობენ პრეზენტაციის შინაარსისა და კლასის ირგვლივ დასმულ კითხვებს.
- გაკვეთილის დასრულების შემდეგ ასევე შეიძლება ჯგუფების პრეზენტატორების შეფასებაც. საკლასო და ჯგუფურ დისკუსიაში მონაწილეობის უნარ-ჩვევისა და მსჯელობის უნარის განვითარება;
- დისკუსიის ყველაზე აქტიური მონაწილეები, ის მოსწავლეები, რომლებმაც არგუმენტირებული პასუხი გასცეს იმ კითხვებს, რომლებიც პასუხის დასაბუთებას მოითხოვდა, ასევე პრეზენტატორები, რომელთაც კარგად დაასაბუთეს ჯგუფის პოზიცია, მიიღებენ მაღალ შეფასებას.
- წახალისდებიან ის მოსწავლეები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს სამოტივაციო აქტივობაში (დახაზეს სქემა, განმარტეს ტერმინები).

6. გაკვეთილის გეგმა.

გაკვეთილი ჩატარდება 1 დღის განმავლობაში (2 საათი).

ნაწილი I (5 წთ.) შესავალი.
ნაწილი II (10 წთ.) განმარტებები.
ნაწილი III (15 წთ.) ლოგიკა.
ნაწილი IV (30 წთ.) მსჯელობა.
ნაწილი V (25 წთ.) პრობლემის გადაჭრა.
ნაწილი VI (30 წთ.) პრაქტიკული სავარჯიშო.
ნაწილი VII (5 წთ.) შეჯამება.

„ევროპული ღირებულებებისა და სტანდარტების განვითარება საქართველოს სკოლებში“ (620893-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT), იგივე EU-GS, გახლავთ ერასმუს+ ჟან მონეს პროექტი (2020-2022), თანადაფინანსებული ევროკავშირის მხრიდან და განხორციელებული შპს ევროპის უნივერსიტეტის მიერ.

პროექტს აქვს ამბიციური მიზანი, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების გზაზე ხელი შეუწყოს საქართველოს საშუალო განათლების სისტემის ევროპეიზაციის მიმართულებით.

გეოგრაფიული არეალი: საქართველოს 10 რეგიონის ქალაქები (გორი, რუსთავი, მარნეული, ახალქალაქი, ბორჯომი, ზუგდიდი, მესტია, ამბროლაური, მცხეთა, თელავი, ქუთაისი, ლანჩხუთი, ბათუმი) და თბილისი

სამიზნე აუდიტორია: საშუალო სკოლის დირექტორები; საგანმანათლებლო ექსპერტები; პედაგოგები და სკოლის მოსწავლეები თბილისსა და რეგიონებში; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; საგანმანათლებლო რესურს ცენტრები, მასწავლებელთა სახლი, უნივერსიტეტები.

საბოლოო ბენეფიციარები: საქართველოს მე –11 და მე –12 კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები (თბილისსა და რეგიონებში)

www.eu-gs.ge

info@eu-gs.ge